



ნოჯისური

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ
ვაჟა-ფშაველა

ლიტერატურული გაზეთი № 31

მკათათვე, 2014

მე მენატრება სხვა ივერია — მამულისათვის ომით მშვიერი!!! გუბაზ II ებრისელი



1460 წლის წინ (554 წ.) ხობისწყლის პირას ბიზანტიელმა სარდლებმა ვითომცხად მოსალაპარაკებლად მიწვეული ლაზ-ეგრისელთა უმამაცესი მეფე — გუბაზ II ლაჩრულად მოკლეს, რამაც ეგრისელთა უდიდესი მღელვარება გამოიწვია...
საგანგებოდ შეყრილ სახალხო კრებაზე საღმა აზრმა გაიმარჯვა. ეგრისელ წარჩინებულთა დელეგაცია კონსტანტინოპოლს ჩავიდა, იმპერატორ იუსტინიანეს წარუდ-

გა, გუმბაზ მეფის მკვლელობის გარემოებანი გააცნო და მკვლელების დასჯა მოითხოვა... მართლაც კეისარმა მკვლელები სიკვდილით დასაჯა და ეგრისის ტახტზე ნათე დაამტკიცა...

გავიხსენოთ, თუ როგორ მიმართავდა ბრძოლის წინ თავის ჯარს გუბაზ II ეგრისელი: „არა მგონია, ვაჟკაცებო, კიდევ საჭირო იყოს რაიმე გითხრათ საომარი ცეცხლის წასაკიდებლად... განა, შეიძლება დაგვაინყდეს, რა საფრთხე ემუქრება ჩვენს ოჯახებს, სამშობლო ქვეყანას და ყველაფერს, რისთვისაც სპარსელები აღძრულან ჩვენს წინააღმდეგ? აკი ბუნება ისედაც კარნახობს ყველას, უცხო მტერს არ დაუთმოს თავისი, საკუთარი. გახსოვდეთ, რას გვიპირებენ სპარსელები: უკეთუ ისინი ამ ომში გაიმარჯვებენ, მარტო ხარკს არ გვაკმარებენ, ჩვენი სამშობლო ქვეყნიდან დედაბუდიანად აგვყრიან, ირანში გაგვასახლებენ და მიმოგვანებენ. ამიტომ, დაე, მარტო სიტყვად ნუ დარჩება ჩვენი ნათქვამი, არამედ საქმით დავამტკიცოთ ჩვენი გმირობა. დაე, ნუ აღიგვება მინისგან სახელი ლაზთა!“

დაე, გძულდეთ მტრები, გეხილოთ ისინი თქვენგანვე დამარცხებულნი და არა თქვენებრ აღფრთოვანებულნი. გახსოვდეთ, ერთხელ დაცემული სიამაყე ველარასოდეს აღორძინდება. მაშ, იქონიეთ ყოველივე ეს მხედველობაში და კეთილი იმედებით აღსავსენი მხნედ გავემართოთ მტერთა ჩვენი დასამარცხებლად!..“

დასიზმრებული წინაპრის შეგონება

ვიცი ევროპა, ვიცი აზია,
ვიცი შტატებიც მაცდურ გემოთი,
მაგრამ თუ ქართველს თავზე აზიან,
სუყველას დედაც... მორიგეობით!
თავს არ ვიტყუებ, ბოროტ ქარს ველი,
თუმცა ხალიბურ რვალით ვივსები.
მე ვარ ქართველი! მე ვარ ქართველი!
ჩემი ნაკლით და ჩემი ღირსებით!
დღემდე მოსისხლემ არ მომარჩინა,
ჩემს ყიდვას ცდილობს ზიზილ-ჩინებით,
უზენაესმა გამომარჩინა
ღამეთა შორის გამოჩინებით!
რად შევურყიო მამულს სამყარო,
რად გადავცვალო ყვავეზე გვრიტები,
ღორთა წინაშე რატომ დავყარო
იბერიული მარგალიტები!
ზეცამ უკვდავი სული შემყარა,
როცა მავანი ზვავით ჩაჩუმქრა,
მე ვარ ქართველი!!! რადგან ზეყანამ
ქვეყანა ჩემით დაასაჩუქრა!
უპირველესად მაფრთხობს ვერაგი,
ქართველის ნიღბით მეზრძვის რომელიც,
ქართველობა ჯაჭვის პერანგი,
ჩემი ლოცვაც და საგალობელიც!
სისხლი მწყურია ფიცრის გამთლელთა,
ჩემი კუბოსთვის გარჯილ ვირების,
დიდი საფრთხე მაქვს სიტყვით ქართველთა,
საქმით სხვის წყალზე განისქვილებს!!!
ქართულად სიკვდილს აღარ მაცლიან!
მზეს მიბნელებენ! ჯიგარს მაცლიან!
ზოგი უხეშობს, ზოგიც „ნაზია“,
ვიცი ევროპა, ვიცი აზია...
მაგრამ უფალი ჩამოვლაზეა!!!

იზეიმებს სული ჩვენი დაბადებას ქართველად!

ვინატრებდი ხმალამონვდილ
დავითს თავის ჰუნეთი,
საქართველოს ბედის ბორბალს
წალმა შევებარუნებდი!
დიდი შუქი ავარდნოდეს
წინამურის ჩრდილიანს,
ერის გონი და სინდისი —
აღმდგარიყოს ილია!
ვინატრებდი ზვიად ბატონს,
ცეცხლოვანს და ღვთაებრივს,
ო, რა სისხლით ინერება
ლექსის ყველა ტაეპი.
ოი, როგორ მენატრება,
სულში როგორ ხმინობს,
შენი „მამულიშვილნი“ და
შენი „გეორგიანნი!“
შენ, ვინც ბედი უფლისწულის
ჯვარცმის გზაზე გაცვალე,
მიეახლე ლამპრად წყვდიადს,
მაგრამ აღარ გაცალეს.
გულს კი მაინც არა სჯერა,
რომ გათავდა ყოველი,
რომ დაემხო სამუდამოდ
ჩემი სვეტიცხოველი...
დაჩოქილი საქართველო
კვლავაც აღიმართება, —
იზეიმებს სული ჩვენი
დაბადებას ქართველად!



* ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგნებას ვერაფერს წაართმევს მას.

* ის თაობა, რომელიც გმირების აკლდამების ჩრდილს ეფარება, ღირსი არ არის არსებობის.

* არავის იმდენი მტერი არა ჰყავს, რამდენიც ბრძენკაცს, გმირსა და ოსტატს.

* ყოველი ერი თავის ქვეყანაში უნდა ცხოვრობდეს, ყოველი ხალხი თავისუფალი უნდა იყოს, როგორც ღმერთი.

* ქვაი ნატყორცილი გულმართლისა და მდუმარის მიმართ, მის გამტყორცნელს მიუბრუნდება უკან.

მწირის სიმღერა

დამისხვრა ჩემი
ბროლის კარიბჭე...
ვისთან ვიპოვო
სულის ნუგეში,
ბედი სიხარულს
მე არ მანიჭებს,
ყელამდე ვდგავარ
ცრემლის გუბეში!..
მიაკეთ სიცოცხლე
ღამეულ რკალებს,
გაღებლია ნითლად
სამსხვერპლო...
სუსხიან ქარში
სუნთქვა კანკალებს,
ქრიან ღრუბლები
კვლავ რომ დამსეტყვონ.
ვგრძნობ მღვრიე ცაზე
უჩინაჩინებს,
ძარღვებში გოდებს
ვნების სიმძაფრე,
გულს ხვალის ზარი
უფრო ამინებს,
თუმცა, გოლგოთის
ცეცხლი ვინამე...
ვინ გამიმთელებს
ბროლის კარიბჭეს,
ვისთან ვიპოვო
სულის ნუგეში,
ბედი სიხარულს
მე არ მანიჭებს,
ყელამდე ვდგავარ
ცრემლის გუბეში!..

რამინ საჯავია

ჩვენი საუნჯე



... მარტვილიდან ხელისგულივით მოჩანს მწვანეში ჩამჯდარი გარემო. შორს გადაჭიმულ მინდვრებზე ვერცხლის ზოლივით მიიკლაკნება მდინარე აბაშა, მხარმარჯვნივ ლაჟვარდისფრად მილივლივებს მდინარე ინჩხია.

მაღალ ბორცვზე დგას VII საუკუნეში ნაგები მარტვილის მონასტერი — ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საოცარი ქმნილება, მის ადგილას ქრისტიანობამდე მუხის (ჭყონის) ხე მდგარა, შემდგომ იგი მოუჭრიათ და ეკლესია აუშენებიათ, ამიტომაც ამ ადგილას კარგა ხანს ჭყონდიდი რქმევი (ხომ გვახსოვს დავით აღმაშენებლის აღმზრდელი გიორგი ჭყონდიდელი) შემდგე კი, მონასტრის გავლენით, სოფელს მარტვილი ეწოდა...

ზვიად გამსახურდია — 75

ვინც გამულისთვის გამსახურია, ზვიადი გახლავთ გამსახურდია!

ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქი, მწერალი, ფილოსოფოსი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი, სამშობლოსათვის წამებული მამულიშვილი ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია 75 წლისაა!

ზვიად გამსახურდიას ბიოგრაფია



მოსკოვის დემოკრატიულ მოძრაობასთან და არალეგალურ ჟურნალ " მიმდინარე ამბების ქრონიკაში." 1975 წლიდან არის წევრი „საერთაშორისო ამნისტიისა, სამართალ დამცავი ორგანიზაციისა, რომლის ცენტრიც ლონდონშია.

1977 წელს მთელს საბჭოთა კავშირში დააპატიმრეს ჰელსინკის ჯგუფის წევრები, მათ შორის ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, რომელიც 1978 წლის მაისში გაასამართლეს, ზვიად გამსახურდია გაათავისუფლეს 1979 წლის ივნისში, რის შემდეგაც მან კვლავაც განაგრძო თავისი ოპოზიციური მოღვაწეობა, პატიმართა დაცვა, საინფორმაციო, აფხაზეთისა და სამცხე-ჯავახეთის ქართველების დაცვა. მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდება დასავლეთის საინფორმაციო საშუალებებისათვის, ხოლო 1983 წელს თითქმის შინაური პატიმრობის პირობებში, დამხმარე პირთა მეშვეობით, შეძლო გამოეცა ახალი არალეგალური ჟურნალი „საქართველო“, რომლის პირველი ნომერი მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქედიის საიუბილეო ზეიმის მხილებას, ხოლო მეორე ნომერი — აჭარელ ლტოლვილებს, აზერბაიჯანელთა ექსპანსიის საქართველოში, აგრეთვე მერაბ კოსტავას, რომელსაც იმჟამად გაუგრძელეს პატიმრობის ვადა.

1988 წელს მან უკვე განთავისუფლებულ მერაბ კოსტავასთან ერთად კვლავ განაახლა ინტენსიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა და დაიწყო ახალი არალეგალური ჟურნალის „მატიანეს“ გამოცემა (გამოვიდა ოთხი ნომერი) და რუსული და ინგლისურენოვანი საინფორმაციო ჟურნალის „ვესტნიკ გრუზიის“ გამოცემა. ზვიად გამსახურ-

დია მერაბ კოსტავასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა წმინდა ილია მართლის საზოგადოების დაარსებაში, რომლის გამგეობის წევრიც იყო თავიდანვე. ამავე დროს იგი იყო ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი და მონაწილე საქართველოში გამართული თითქმის ყველა დიდი აქციისა — პერმანენტული შიმშილობა 1988 წლის 11 მარტიდან, რომლის დროსაც მან იშმშილა 27 დღე, აქციები და მიტინგები დავით გარეჯის გადასარჩენად 1988 წლის 24 თებერვლისა და 1988 წლის 21-22 სექტემბრისა, აქციები სხვადასხვა საჭირობოთა ეროვნულ პრობლემებზე 1988 წლის 8 ოქტომბრისა და 12 ნოემბრისა, თბილისში, 21 ოქტომბრისა და 20 ნოემბრისა ბათუმში, 23-29 ნოემბრისა თბილისში, 1989 წლის 25 თებერვლისა თბილისში, 1989 წლის 4-9 აპრილისა თბილისში, რისთვისაც იგი დააპატიმრეს მერაბ კოსტავასა და სხვებთან ერთად. გაატარა ციხეში 40 დღე. შემდეგ გაათავისუფლეს თავდებით და მან კვლავ განაგრძო პოლიტიკური საქმიანობა, კერძოდ მიიღო მონაწილეობა წვევამდელთა აქციების ორგანიზებაში. 1989 წლის მაისიდან ოქტომბრამდე მონაწილეობდა აფხაზეთის, ქვემო ქართლისა და სამაჩაბლოს კრიზისების რეგულირებაში, აგრეთვე 1990 წლის მიტინგებში და აქციებში იანვრიდან ოქტომბრამდე, მისი უშუალო მონაწილეობით მოხდა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და საერთოდ კომკავშირის გაუქმება, ლენინის ძეგლის აღება და სხვა მნიშვნელოვანი აქციები. ზვიად გამსახურდია იყო უშუალო ორგანიზატორი თითქმის ყველა საპროტესტო აქციისა, რომელიც ჩატარდა 1990 წლის ზაფხულში, რათა ხელისუფლებას დაენიშნა უზენაესი საბჭოს სესია, მიეღო დემოკრატიული კანონი მრავალპარტიული არჩევნების შესახებ და დაენიშნა არჩევნები. იგი მონაწილეობდა აგრეთვე საკონსულტაციო კომისიის მუშაობაში, რომელმაც შეიმუშავა მეორე კანონპროექტი.

ზვიად გამსახურდიამ 1962 წელს დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. ზვიად გამსახურდია არის მწერალი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,

ლიტერატურათმცოდნე და მთარგმნელი, მის კალამს ეკუთვნის გამოკვლევები ქართულ, ამერიკულ, ინგლისურ, ირლანდიურ ლიტერატურაზე, რუსთველოლოგიის დარგში, თარგმანები ამერიკული, ინგლისური, ფრანგული, რუსული, გერმანული მხატვრული და ფილოსოფიური ლიტერატურის ნიმუშებისა, ლექსების კრებული „მთვარის ნიშნობა“, იგავებისა და ზღაპრების კრებული. ზვიად გამსახურდია არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი 1966 წლიდან. ამავე წლიდან იყო მწერალთა კავშირის წევრი. 1977 წლის 1 აპრილს ანტისაბჭოთა მოღვაწეობისათვის იგი გარიცხეს მწერალთა კავშირიდან, შემდეგშიც არ იყო არც წარდგენილი და არც რეაბილიტირებული, მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირის დისიდენტთა უმრავლესობას „პერესტროიკის“ წყალობით მიღებული ჰქონდა რეაბილიტაცია.

1990 წლის 13-15 მარტის ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენციამ ზვიად გამსახურდია აირჩია ეროვნულ ფორუმში, მაგრამ მან იმავე წლის აპრილში სხვებთან ერთად დატოვა ეროვნული ფორუმი, ვინაიდან დარწმუნდა, რომ ფორუმის წევრთა უმრავლესობა არ იყო ერთგული მათ მიერვე დეკლარებული პრინციპებისა, ამავე დროს იგი გახდა წევრი იმჟამად შექმნილი „მრგვალი მაგიდისა“, რომლის ორგანიზაციებმაც იგი აირჩიეს სპეკერად.

ზვიად გამსახურდიამ უარი განაცხადა ეროვნული კონგრესის არჩევნებში მონაწილეობაზე იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც იგი გავიდა ფორუმიდან.

ზვიად გამსახურდია 1990 წლის 14 ნოემბერს აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ, ხოლო 1991 წლის 26 მაისს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად. 1991-1992 წლებში რუსეთის მიერ მოწყობილმა პუტჩმა ზვიად გამსახურდია აიძულა საქართველოდან წასულიყო.

ის ვერაგულად მოკლეს საქართველოში 1993 წლის 31 დეკემბერს.

ზვიად კონსტანტინეს ძე გამსახურდია დაიბადა 1939 წლის 31 მარტს თბილისში, მწერლის ოჯახში. დაამთავრა ექსტერნად 47-ე საშუალო სკოლა, ვინაიდან ჯერ კიდევ სკოლის უკანასკნელი კლასის მოსწავლე დააპატიმრეს არალეგალური პატრიოტული მოღვაწეობის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ორგანიზაციის „გორგასლიანის“ შექმნისა და პროკლამაციების გავრცელების გამო.

1974 წლიდან მან შექმნა საქართველოში დამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი და მერაბ კოსტავასთან ერთად განაგრძო ბრძოლა ეროვნული და ადამიანური უფლებების დაცვისათვის. 1976 წელს მერაბ კოსტავასთან ერთად შექმნა საქართველოში პირველი ლეგალური ოპოზიციური ორგანიზაცია — საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი (დღეს ჰელსინკის კავშირი), რომელიც იბრძოდა ქართული ენის, ეკლესიის, კულტურის ძეგლების დასაცავად, იცავდა პატიმართა და დევნილთა უფლებებს, ჰქონდა არალეგალური ოფსეტური გამომცემლობა, უშვებდა არალეგალურ ჟურნალებს — „ოქროს სანძისი“ და „საქართველოს მოამბე“, თანამშრომლობდა

მარებას. უფალი, რომელიც აძლევს ჯვარს, იგივე უფალი ეხმარება ამ ჯვრის ტარებაში. და მან დაამთავრა მონაშემობრივად თავისი სიცოცხლე და დღეს ჩვენ აღვაფლენთ ლოცვებს, რომ უფალმა აცხოვნოს მისი უკვდავი სული და დაამკვიდროს იგი სადაც მართალნი განისვენებენ, ამინ!

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

„რაც ხანი გავა, ზვიადის სახელი, მისი საგმირო საქმეები მით მეტად გაბრწყინდებიან! ჭია-ლუებმა საქლიკოდ აქციეს ტერმინი „ზვიადიზმი“. ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ვახტანგ ბოჭორიშვილმა ეს ტერმინი ზუსტად განმარტა: „დაიხ, „ზვიადიზმი“ სამშობლოს სიყვარულს ნიშნავს!“

ელიზბარ ჯაველიძე, აკადემიკოსი

უახლესი ისტორიიდან ქვეყნისადმი

თავდადების, თავგანწირვისა და უსაზღვრო სიყვარულის გასაოცარი მაგალითი იყო ზვიად გამსახურდია. სტრატეგიაში მას არაფერი შეუღია. იგი უდიდესი მამულიშვილი და პატრიოტი იყო. მას ძალიან რთულ ვითარებაში მოუწია ქვეყნის მართვა. გამსახურდიას წინააღმდეგ სერიოზული ძალები იბრძოდნენ შინაური არამზადების ხელშეწყობით. ორი უძლიერესი სახელმწიფო — ამერიკა და რუსეთი გაერთიანებულიყო ზვიადის საზიანოდ, რადგან მას არ უნდოდა, რომ საქართველო რომელიმე ქვეყნის სატელიტი და კოლონია ყოფილიყო. სწორედ ამ იდეებმა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულმა იმსხვერპლა ჩვენი პირველი ღირსეული პრეზიდენტი.

ჯემალ მებონია, პროფესორი

საქართველოს უამრავი პრეზიდენტი ეყოლება მომავალშიც, მაგრამ ზვიადის-ნაირი პრეზიდენტი ჩვენს ქვეყანას არასდროს ეყოლება! ამას დარწმუნებით ვამბობ!

ზვიადი დარჩება პრეზიდენტად, რომელმაც ერი გამოაღვიძა და შემდეგ უკვე გამოღვიძებული ერის მეშვეობით სამშობლო გაათავისუფლა!”

ვალტერ შურდია, უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი

საქართველოსა და ქართველი ერის უდიდესი მოკეთა ზვიად გამსახურდია. ის თავის ქვეყანაში ყველაზე ბედნიერი ადამიანია. რისთვისაც დაიბადა, გაიზარდა, ისწავლა, იბრძოლა, იტანჯა და ბოლოს დაიღუპა — საქართველოს დამოუკიდებლობა იყო, და ეს მან ქართველ ერს მოუპოვა კიდევ. ბოდიშს ვიხდი ყველა გამოჩენილი ადამიანის წინაშე, მაგრამ ასეთი დიდი საქმე ბოლომდე ვერავინ მიიყვანა, ზვიადმა კი შეძლო...”

თამაზ ვაშაძე

ცეცხლში გამოვლილი ალიარება!

„არაერთხელ მითქვამს, რომ ჩემი ჩამოსვლის პერიოდისათვის საქართველო აბსოლუტურად იზოლირებული იყო. მართო უკრაინამ გვცნო. ამიტომ უმთავრეს ამოცანად ამ იზოლაციის გარღვევა და მსოფლიოს თანამეგობრობაში ჩვენი ქვეყნის დამკვიდრება მესახებოდა...“

ე. შევარდნაძე

* * *

საინტერესოა, მართლაც „თვითალიარებული რესპუბლიკა“ ვიყავით? მართლს ამბობს შევარდნაძე?

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 8 მაისი, სტატია: „ვინ როდის გვცნო?“ (პუბლიკაცია ეყრდნობა საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობას).

აი, ის ქვეყნები, რომლებმაც 1991 წელს ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა:

- 1. რუმინეთი — 27.08;
2. მოლდოვეთი — 27.08;
3. აზერბაიჯანი — 30.08;
4. სომხეთი — 13.09;
5. თურქეთი — 16.12;
6. მონღოლეთი — 20.12;
7. ლიტვა — 20.12;
8. ირანი — 25.12;
9. კანადა — 25.12;
10. აშშ — 25.12;
11. ბრაზილია — 26.12;
12. კუბა — 26.12;
13. ტაილანდი — 26.12;
14. ინდოეთი — 26.12;
15. ვიეტნამი — 27.12;
16. ბელორუსია — 27.12;
17. ეგვიპტე — 27.12;
18. ჩინეთი — 27.12;
19. ალჟირი — 27.12;
20. სლოვენია — 27.12;
21. იორდანია — 28.12;
22. ხორვატია — 28.12;
23. ლიბანი — 30.12;
24. პაკისტანი — 31.12.

საყურადღებოა, რომ ჩამონათვალში წარმოდგენილია დიდი სახელმწიფოები; აშშ კანადა, ჩინეთი, ბრაზილია, ინდოეთი, ირანი, თურქეთი და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზ. გამსახურდიას ხელისუფლების ძალით დამხობის შემდეგ,

გარკვეულ ხანს კიდევ მოდიოდა იმ ქვეყნების ოფიციალური ნოტები, რომელთა მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილებები საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ მიღებული იყო 1991 წლის განმავლობაში და არა შევარდნაძის „ავტორიტეტის“ გამო.

ასეთია რეალური ვითარება.

* * *

სატელეფონო ზარი მოსკოვიდან: „...ბატონო ზვიად, თქვენ და თქვენს თავისუფალ საქართველოს სულ მალე სისხლში ჩაგახრჩობთ!“

ე. შევარდნაძე 2 ივნისი, 1991 წელი.

შაჰ-აბასის ოთხგზის ლაშქრობას არ მოუტანია საქართველოსათვის ისეთი დამანგრეველი შედეგი, რაც ერთი „უმუშევრად დარჩენილი პენსიონერის“ პირადი ბოლმისა და ამბიციების დაოკებას მოჰყვა...

* * *

გა — მსახურ — დია: ამ გვარში გა (ისევე, როგორც გე) მინაა, მსახურ — სიტყვა „მსახურის“ ფუძე, დია — ღმერთი (ბერძნულად), ანუ მინიერი მსახური ღვთისა.

* * *

ზვიად გამსახურდიას მისია: „თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა?“ „ღიას!“ — 3.266.285 ხმა (+1)

* * *

გარდასულ ჟამის ამ ხილვებით მარად ნეტარი მტკიცე ნაბიჯით მომავლისკენ მიიკვლევ შარას, წმინდა გიორგი, საქართველოს ნათლის მხედარი ფერისცვალების მაღალ მთაზე დაგიდგამს კარავს.

* * *

ჩვენი ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისათვის უპირველესად, რელიგიური ბრძოლაა და ამ საშვილიშვილო საქმეში პირველი სიტყვა ქართველ ერს ეკუთვნის!“ ზვიად გამსახურდია

ფაქტი ჯიუტია!

1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება „ავტონომიური ოლქის სამხრეთ ოსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ 1990 წლის 11 დეკემბერს ოსებისვე მიერ უკანონოდ სახელდებული ეგრეთ წოდებული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა“ გააუქმა...

1991 წლის გაზაფხულზე ბორის ელცინი ყაზბეგში ჩამოვიდა და ზვიად გამსახურდიას შეხვდა. ელცინმა ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლითაც რუსეთმა, ფაქტობრივად, აღიარა ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ოლქის გაუქმება. დოკუმენტში პირდაპირ წერია, — „Бывшая автономная область Южная Осетия“.



შეხვედრა ბორის ელცინთან ყაზბეგში 1991 წლის გაზაფხული

ის ერთი — მომავლიდან, რწმენიდან!

ჩვენ ყველა წარსულიდან მოვედით, ის ერთი — მომავლიდან, რწმენიდან, მამის უღალატო კოშკიდან, დედის გაუხუნარ სევდიდან; ერის პირგახსნილი ჭრილობიდან, ვაზის ძირიდან და ლერწმიდან, კაი ყმობიდან და შვილობიდან, სალამურად გათლილი ლერწმიდან. ბაღში გვიმრავლებდა იადონებს, ერში — გმირებსა და ამორძალებს, ვაი, რა უსინდისოდ მივატოვეთ, ვაი, რა უბოდიშოდ გავეცალეთ. მაინც პირს ღიმილი გადიკარა, მაინც ღვთიურ ცეცხლით ინვოდა, როგორი სიყვარულით შეგვიყვარა, მაინც რა სიყვარული იცოდა!..

ქართველს იმერიდნ ამერამდე ჯვარ ჰსახა: „სატანამც გამოროს!..“ ქართველო! შენ რითღა გადუხადე, რა უყავ თავისუფალ სამშობლოს?! როცა დიდი მთებიც მოინისლა, შენ ვის გაუნათე, სანთელო, ჩვენ ყველა ცოდვის ცრემლში

მოგვზილეს,

ის ერთი — უფლის სისხლში, ქართველო! რა სევდიანია შორეთი, დაქცეულ, გარუჯულ კოშკიდან, ჩვენ ყველა წარსულიდან მოვედით, ის ერთი — მომავლიდან მოვიდა.

მარინე ხმალაძე

როგორ მენატრები, ჩემო პრეზიდენტო! (ზვიად გამსახურდიას)

მე რომ დავიბადე, იდგა ხარება და ზეცა ნეტარებდა, თეთრი გელათიდან ქართველის სიყვარული გულზე შემომენტო, წლები გავიდა და სულის ნეტარება ისე მენატრება, როგორ მედარდები, როგორ მენატრები, ჩემო პრეზიდენტო. ჯვარზე გაკრულია ჩემი დვალეთი და ჩემი აფხაზეთი, ჯვარზე გაკრულია ყველა ქართველი და მთელი საქართველო, რატომ გამყიდეთო, გულის გახეთქვამდე ყვირის ბაზალეთი, რატომ მიატოვე შენი სამლოცველო, ჩემო სადარდელო. ყოვლად სახიერი, ალბათ, განვარისხეთ დედა ღვთისმშობელი, მაინც დედაა და, მაინც ვუყვარვართ და მაინც გვეფერება, ხელში შემომაკვდა ჩემი სიყვარული, როგორც უშობელი, ღმერთო, მომიტევე დიდი სიჩუმე და დიდი გარინდება. ვზივარ სარკმელთან და ისე კეკლუცობენ მწიფე ალუბლები, ქართველის სიყვარული მგონი ალუბლებსაც გულზე შემოენთო... წლები გავიდა და სარკმელს აწყდებიან თეთრი აპრილები როგორ მენატრები, როგორ მედარდები, ჩემო პრეზიდენტო!

თინათინ მღვდლიაშვილი 1996 წ.

შავი ჩოხა

ვინ ჩააცვა საქართველოს შავი ჩოხა?... ნატყვიარი ისევ რჩება ღიად, შენს საფლავთან უკვდავებამ დაიჩოქა, ქართველები დაგტირიან ზვიად! ლარსის გზაზე ქალის სწვდება მთებს გოდება, ხარბად ითვლის ვილაც მიყრილ ხურდებს... მე ის ბრიყვი ყვავ-ყორანი მეცოდება, არწივისას რომ დაანგრევს ბუდეს! გული ვთხოვე, მაგრამ ნიავს სად აქვს გული?! მთანმინდაზე მზე განთიადს ლამბავს... მჯერა, მალე მოგიყვება გაზაფხული ივერიის გაბრწყინების ამბავს!

ლევან ფანჩიძე

იგავეები

ბრმების ქალაქი

ბრმებმა თავიანთ ქალაქში ცალთვალა გაამეფეს, ხოლო თვალხილულს უარი უთხრეს მეფობაზე. ცალთვალა ცალი თვალთ მანაც გვგავს ჩვენ, შენ კი ორთავ თვალთ უცხო ხარო.

ლამის მგოსანი

ერთ მზიან ღამეს ღმერთმა შექმნა ჩიტები. ეშმაკს შეშურდა და იგივე გაიმეორა ღამით, მაგრამ ჩიტების ნაცვლად ბრმა ღამურები გამოუვიდა, რომელთაც მხოლოდ ბნელში ძაღუძით ფარფატი. ღვთის ერთ ჩიტს შეებრა ღამურები და შესთავაზა უფალს: გამიშვი მათთან, მე მათ ვუმღერებ მზის საგალობელს, თვალს ავუხელო, დღეს შევაყვარებ და ისევ ნამდვილ ჩიტებად ვაქცევო.


— ვერას გაიგებენ. — მიუგო უფალმა. — წადი და უმღერე მათ მთვარის საგალობელი. მთვარე ხომ ძმაა მზისა. მე იგი ღამისათვის შევექმენი. მისი შუქიც მზის სინათლის ანარეკლია. უმღერე მათ საგალობელი მთვარის შუქისა.

იმ დღიდან ღამლამობით გალობს ეს ჩიტი, რათა ღამურები ჩიტებად გარდაქმნას. ხალხი მას ბულბულს უწოდებს.

ზვიად გამსახურდია.

მერაბ კოსტავა — 75

საქართველოს ეროვნული გმირი, ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი, პოეტი და მუსიკოსი მერაბ ივანეს ძე კოსტავა 75 წლისაა!



ძმავო მერაბ!

26 მაისს ამქვეყნად, ალბათ, სხვაც გაჩნდა ბევრი, შენ სხვა დალოცვა გეკუთვნის, მაგისიც მოვა ჯერი, როცა სამშობლოს ჩვენსას, სხვა ეხურება ჭერი, თეთრი გიორგის მლოცველო, ხარ მეომარი ბერი, დადიხარ, დაგაქვს სინდისი, შენი თმა-წვერის ფერი.

მზია შერვაშიძე

...ქაქუცა ჩოლოყაშვილის შემდეგ ეროვნული გმირი ჩვენ არ გვყოლია. გამოჩნდა ყმანვილი, ვინც სკოლის მერხიდანვე ააფრიალა თავისუფლების დროშა, დაბადებით, ბუნებით, მონოდებით აღმოჩნდა გმირი. წინამძღოლად, მეთაურად, სარდალად გაეჩინა განგებას.

გარეგნობაც ჰქონდა გამორჩეული — წარმოსადგეი, ახოვანი, ძლიერი, სული მტკიცე, შეუდრეკელი, ხავერდოვანი ლამაზი ხმაც თითქოს ამ სულიდან მომდინარე...

...მერაბ კოსტავამ მრავალი წელი დაჰყო ციხეში, მრავალი — გადასახლებაში, იცხოვრა კატორღული ცხოვრებით აქაც, თბილისშიც, და იქაც, ციმბირშიც. გაუტეხელი დაბრუნდა, ზნეობრივად გამარჯვებული დაბრუნდა, გმირი დაბრუნდა. თავისუფლების დროშა ერთხელ მაღლა ატაცებული ძირს არ დაუშვა და ეროვნული მოძრაობა არნახულ ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

...მერაბ კოსტავას ტანჯულ ცხოვრებას სიკვდილმა დაადგა შარავანდედი, დაუღუნა ხორცი და ძვალი და აღუზევა სული. სულის უკვდავების სჯეროდა მერაბს, ამიტომ უსათუოდ მოვა კიდევ ერთი „ვარსკვლავი მოტყინარე“ თბილისის ცაზე და დადგება მთაწმინდას. ეს იქნება ჩვენი ეროვნული გმირის წამებული სული.

ნოდარ წულეისკირი

უპირობისთვის ვწყევლით ცრუ სოფელს და საქართველოს სახელს ვაბოძებთ, დადგება ჟამი, იმის ხელმყოფელს უშრეტის ცეცხლით დავანაფოტებთ!

მერაბ კოსტავა

...ცხოვრების უძნელესმა გზებმა, ვაჟკაცი შვილის დაღუპვამ ვერ გატეხა მისი მეზრდოლი სული. ასე მოვიდა იგი გოლგოთიდან მთაწმინდამდე, პირნათელი მიეახლა წინაპართა აჩრდილებს, როგორც ერისთვის თავდადებული, როგორც ერისკაცი...

გამოღვიძებული საქართველო მიემართება აღთქმული მიზნისაკენ. და ამ გზაზე მას მუდამ თან გაჰყვება თავისი ეროვნული გმირების უკვდავი ხატება. მერაბ კოსტავამ იმ გმირთა შორის ჰპოვა ღირსეული ადგილი.

ჯემალ შონია

...მერაბ კოსტავა სისხლი სისხლთაგანია ცოტნე დადიანის, მღვდელი თევდორეს, ჭოლა ლომთათიძის, გიორგი ზდანევიჩი — მაიაშვილის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის და სხვა სახელიან თუ უსახელო მამულიშვილების. ახლაც თვალწინ მიდგას 19 მაისს ბიბლიურ მოსესავით ფაფარაშლილი რომ მოვიდა სიონის ტაძარში 9 აპრილს აღსრულებულთა ხსოვნის პარაკლისზე. მისი მარადი ნატვრა იყო ეროვნული ერთობა. მისი სიკვდილი ალბათ ის მძლე დუღაბი იქნება ქართულ ეროვნულ მოძრაობას რომ შეკრავს იმ დიდი იდეალის მისაღწევად, რისთვისაც მთელი თავისი სიცოცხლე იბრძოდა ჭეშმარიტი მამულიშვილი და მოქალაქე — მერაბ კოსტავა.

რევაზ ურუშაძე

თუკი ჩვენ არ გავერთიანდებით და ერთად არ ვიმოქმედებთ, განგება ისეთ გამოცდას მოგვიწყობს, რომ ერთმანეთს ვეძებდეთ ხელების ცეცებით...

მერაბ კოსტავა

...მან, ვითარცა ჭეშმარიტმა გმირმა, მონამობრივი ცხოვრებით განვლო ზეციური სასუფეველისკენ მიმავალი გზა და ამ ძნელ გზაზე შეუბღალავად გამოატარა მარად დაუთრგუნველი ქართული სული. ვერც ათასგვარმა განსაცდელმა, ვერც საპყრობილემ, და ვერც თვით სიკვდილმა ვერაფერი დააკლო მის სიდიადეს. მართლმორწმუნის ჯიუტი ერთგულებით იწამა მან საქართველოს უკვდავება და ამ რწმენის მეოხებით გაუძლო გაუსაძლისს...

...ალარაა უძვირფასესი მერაბ კოსტავა. დედასამშობლოსგან აბოთის ღირსი მისი შუბლი უღვთოდ დაიმსხვრა და დაიღუნა, სწორედ ისე, როგორც ფარი იღუნება გახურებული ბრძოლის ჟამს.

და მაინც, ის ისევე ჩვენთანაა, ჩვენს შორის უძველეს მარადიული ბინა, ამიერიდან კიდევ ერთი აჩრდილი გადმოდგება ხოლმე მყინვარწვერზე და თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველობას ხშირად შეეხმინება ნაცნობი სიტყვებით: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა...“

თემურ ქორიძე

წამებული ძმისადმი (მერაბ კოსტავას)

ერზე მჭმუნვარე ძმათა კრებული ერის საფიცარ რაინდს გინოდებს, უკვდავ საქმისთვის ჯვარზე ვნებული სასუფეველში შეხვალ, იცოდე!

ქრისტემ მოგმადლა ცის გასაღები და სერაფიმთა ჰაეროვნება, არ გწამს მონოლოლის ნატრაბახები და არც მარდოხეს ყალბი ცხოვნება. გვეტანებოდნენ ძალღონი და ღორნი, შემუსვრა სურდათ ელვარე ჭაღის, მაგრამ ხომ დავრჩით, მაინც ჩვენ ორნი, მკრთალნი რაინდნი მწუხარე სახის.

კვლავაც დაუდგეთ დარაჯად საფლავს, ყველა ცოცხალთა მიზანს და მიზეზს, ამგვარ წამებას ხომ შევბაც ახლავს, ხვალეც იმედის თვალებით გვიმზერს.

ცხოველყოფელი საფლავი იგი გვიანებია ცხოვრების წყაროდ, დაგვეცქერის თვალი არსთაგამრიგის ის აგვარიდებს ბედის შავ ტაროსს. და ოცნებებიც ცას მისწვდნენ ჩვენნი, ცა გარდაგვეხსნა მარადუამული, ხელთუქმნელ ხატის დიდებით მშვენი ღვთის ნილხვდომილი ჩვენი მამული. დე, ელვარებდეს ივერთა ცაზე მზე შუალამის, ბარძიმი წმინდა, გვწყალობდეს, ვინაც გვიკურთხა ვაზი

და ღვთისმშობელი ვინაც დანინდა.

ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე, ბნელში მსხდომთ კვლავაც

აუწითოთ კვარი

და მიგვიძოდეს ეკლიან გზაზე წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი.

ზვიად გამსახურდია

...1989 წლის 13 ოქტომბერს ქუთაისიდან თბილისს მომავალი მერაბ კოსტავა დაიღუპა ავტოკატასტროფაში... ქართველმა ხალხმა უღრმესი მწუხარება, დიდი სიყვარული გამოხატა ერის თავდადებული და სახელოვანი შვილის სიცოცხლის ტრაგიკულად დასრულების გამო.

მერაბ კოსტავას მთელი კვირის განმავლობაში ყოველდღიურად ეთხოვებოდა მთელი საქართველო პრაქტიკულად: ვინც თბილისიდან რამდენადმე მაინც ახლოს გრძნობდა თავს, პირველი შესაძლებლობისთანავე საგანგებოდ ჩადიოდა დედაქალაქში მონაწილეობდა პროცესიაში... ათეულ ათასობით სხვადასხვა ასაკისა და მდგომარეობის ადამიანები, არაჩვეულებრივად ნატიფი გრძნობით დამუხტულნი, დანაღვლიანებულნი მიისწრაფოდნენ, რომ მოეხადათ თავიანთი ნამდვილი მოქალაქეობრივი ვალი (მადლობა ღმერთს, ქართველობას ძვირფასი გარდაცვლილის პატივისცემა — გაპატიოსნება არ ესწავლება, ცალკეულ შემთხვევებში ცოცხალისა და ამაღლებულის ატანა უჭირს თორემ!).

...მერაბ კოსტავას სიკვდილი აუნაზღაურებელი, უდიდესი დანაკლისი იყო. ამ დანაკლისს ამჟამადაც ძალუმად გრძნობს ყოველი ჭეშმარიტი ქართველი (იქნებ არა-ქართველიც).

...მერაბ კოსტავას დაბადების დღის — 26 მაისის — აღნიშვნა ფრიად სმობოლური: ამ თარიღს დაეწევა არ უწერია, — იგი ემთხვევა საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის დღეს...

ვიდრე ეროვნული მეხსიერება არ აღმოფხვრილა (ეს კი შეუძლებელია, სანამ ერი არსებობს), წარსული და მერმისი ერთმანეთისაგან განუყოფელი მცნებებია! ხამს მათი ჯეროვნად და გონივრულად გათვალისწინება!

დღეს კიდევ უფრო მკვეთრად იზრდება აზრი და მნიშვნელობა მერაბ კოსტავას მკაფიო კონცეფციის ჩამოყალიბებული სხარტი ანდერძისა: „გიყვარდეთ ეროვნული მოძრაობა და არა თქვენი თავი ეროვნულ მოძრაობაში.“

მარად უკვდავია სახელი ჭეშმარიტად ეროვნული გმირისა, რამეთუ იგი ღირსეულად ასახიერებდა და ძალუმად აერთიანებდა დიდი მამულიშვილისათვის საჭირო ყველა საუკეთესო ადამიანურ თვისებას.

ნაპოლეონ ლემონჯავა

ციხე — აულებელი მერაბის დედას — ქ-ნ ოლღა დემური-კოსტავას

ვიცი, ბევრჯერ შეეგებე ცრემლიანი აისებს...

გაუძელი, გვედრები, გაუძელი მაისებს...

ვიცი, ბევრჯერ დაგიღენეს სამშვილდე და არმაზი, ატმის ბაღში გაგიშენეს მარმარილოს დარბაზი.

გულში ცეცხლი გაგიჩადეს და ბორითის ხანძარი, მაგრამ მაინც გესიზმრება ნალენჯიხის ტაძარი.

მაგრამ მაინც გმფარველობენ გაბრიელ და მიქელი, და გდარაჯობს სასთუმალთან

შალვა ახალციხელი.

განგრეხ და ვერ აგიღეს, — ციხე — აულებელი,

ხაპით გსვეს და ავერ დაგაშრეს, — წყარო — აუმღვრეველი!

ხარ გამჩენი ავთანდილის, საქებ-სადიდებელი,

ტარიელის დედობილი, საშველ-სახიდებელი.

თუმცა ნებავს მტერს და მომხდურს, ცრემლის თქემით წაგლეკოს, —

გიმღერე ანგელოზნი წინწყაროს და შავლეგოს.

შემოგყურებს საქართველო დაჭრილი და მკვნესარი...

ტანკენარი დედოფალი, — მგლოვიარე ნესტანი.

ვიცი, ბევრჯერ დაგიღენეს სამშვილდე და არმაზი,

გულის-გულში გაგიშენეს მარმარილოს დარბაზი.

ვიცი, ბევრჯერ შეეგებე სევდიანი აისებს,

გაუძელი, გვედრები, გაუძელი მაისებს...

თინათინ მღვდლიაშვილი

...გმირი, წამებული, წმინდანი! მერაბ კოსტავა!

ის უკვე იქაა, იმ ნათელ კრებულში, სადაც ერთად აფრქვევენ ჰაეროვან სინათლეს დიდთა წინაპართა აჩრდილები.

უკვე მიიხუტა მკერდზე მოხუცმა ილიამ, უკვე შეახო მის შუბლს ჯვარი წამებულმა დედოფალმა ქეთევანმა და უკვე ამოიყენა გვერდით მარადიული ქართული ლაშქრის წინამძღოლმა დიდმა დავით აღმაშენებელმა...

...რა მოუხდებოდა ყველაზე მეტად ამ სევდიანი არწივის სახეს?

ჩაჩქანი და მუხარადი.

ამ ვაჟკაცურ, მრავალი სიმძიმის გადამტან მხრებს რა დაამშვენებდა?

ჯაჭვის პერანგი.

ის თეთრ ცხენზე უნდა მჯდარიყო თორაბჯრიანი და ხმალამონვდილს მამაცური თავისი მხერით შიგ თვალეში ეცქირა მტრისათვის.

აი, ვთქვი და უცებ მივხვდი, რომ საქართველოს ბედკრული გრძელი ისტორიის მანძილზე ბევრჯერ მოსულა მერაბ კოსტავა მკლავმგარ მხედრად.

მოსულა თეთრცხენოსანი. მოსულა, როცა ყველაზე მეტად უჭირდა მამულს. და უბრძოლია.

ყველაზე მძიმე მოვალეობა კი მაინც ამ მოსვლისას დაეკისრა მას და მის ქრისტესმიერ ძმას ზვიად გამსახურდიას...

გურამ პეტრიაშვილი

...ბევრი ეცადა ჩემი და ზვიადის მეგობრობაში ბზარის გაჩენას, მაგრამ ეს ვერავინ შეძლო, ეს არასოდეს მოხდება, მაგრამ, თუ მოხდა სასწაული და ჩვენს მეგობრობაში ბზარი გაჩნდა, მაშინ მე ვიტყვი, რომ მეგობრობა საერთოდ არ არსებობს, ეს კი უკვე ქვეყნის დანგრევას უდრის.

მერაბ კოსტავა

...თავისი დიდი გულით მერაბ კოსტავამ გააერთიანა საქართველო. მას ყველა უყვარდა, რამეთუ უწყოდა: უკეთუ არ შევიყვარეთ ურთიერთი, არ შეგვიყვარებს უფალი, ვერ გადარჩება საქართველო...

...ო, ამ მრისხანე გამოხედვის ქვეშ რა შვილი გული იმალებოდა, რა თანაგრძნობა მოყვასისადმი, ყოველი დევნილისა და ჩაგრულისადმი.

ზვიად გამსახურდია.



ზაალ ჯალალონია

მა ქუმოფრთი ოჭიშიერო

წუმზარაფალ ქუორექ-და, სი განნმაზარი, წუმპონალი ქუორექ-და, ქიგიაშკვა ზარი. წუმოყუნაფილ სისმარეფიმ მემილ ორზოლი გემორილითე ხანგარა დო არძა ბორზალი. დიო მის უჩქუ, ხოლო სოდე მალვენუ შინა, დარანა დაჩხირც ალიაკონც, მიშარუმელი. ჯარგვალც ღვინკემა, გეტახილი ვორექ ქუმელი, ქუმზარას ცოფე ჩქიმი რინა ართ ვარ, სუმელი. მივანწყუაფუქ, ვამოკოდას იშენ მონირზეს, მივანჭუაფუქ, სო ვამჩქუნი, იშენ ნჭუაფათ. მუს ქოგუ კოჩი, თე ცოროფა მუჭო დონირსეს, ლერს ანგილოზო ხუც გეფხე დო თირო გუმაფათქ. მერა, მერაას, მა მერეთო ოკო გინიბრთე, ჩქიმ ნოსოფეფქე დუგაჭუ-და, ჭიჭეს ქიკინბტე. მერგელ გვალა რე, გურგუმია კოჩიმ ნოხოლე, არძა მეურთუ მიჯინენა კონკა, კიკიბე. მიკონონებულ მა ვაფუქუ, ნანეფც ხირჩინას. მიკუტორუნც თე ბორია ბორჯის, ლაფშა რე. მინ ტკუტკუბურო მიკასხაპანც, მიოჭირხინანც. თენა ჭარკონტიშ ღიბშა დო ირფელ ლაფშა რე. ათაქ ვარგ დო ნოტე სოდგა გუმორჩქინასგ, მუზმა ნირეშე გიმამრთუმუ, მუზმა ლოზიშე. მუზმა ქვირთუ რე ათე ბორჯი ქუმორჩქინასგ, ხვალე ვორდი დო გეგნოფხირუ შურიშ ოზეშე. ირო მალვენუ ქარაბაკი, მუზმა მიტახან. ნირკემ ლალირეფ ქექე რენა, ოკონ ითარხან. გილხევიარან ოკონან-და ხოლო ხვიერო. მითაჟამიშე მა ქუმოფრთი ოჭიშიერო. მივანწყუაფუქ, ვამოკოდას იშენ მონირზეს, მივანჭუაფუქ, სო ვამჩქუნი, იშენ ნჭუაფათ. მუს ქოგუ კოჩი, თე ცოროფა მუჭო დოქვირსეს, ლერს ანგილოზო ხუც გეფხე დო თირო გუმაფათქ.

ქვერსემ ვორექ, გვალო რცამი

ჭუამ მიკოყუბეჩუა, მუ გინუა, მუ გეჩუა. რინამ კონნოლ მიკინებუ ოშა-გოშათ მუბეჭუა. ასა-გასა ცუნაფილი, უშარობას ნურაფილი. ცურუბია ოგვაჯეს ჩიტო დინოხუნაფილი. ორთან ჩქიმი ცა დო გვალა, აშო ულა, ეკანთავალა. ორკიანე მუხურ, ორო, ნოქური დო გუნაკვალა. ოროხ-მოროხ, ოროყვენი, შურიშ ტიოზ, რსხულიშ რზენი. ორსანტ ვორექ მა ჩქიმ ნინამ ამდლა ფობრუნც თიში რშვენი.

ზაალ ჯალალონია პოეტი, მთარგმნელი, მკვლევარი და იბადა 1981 წელს ჩხორონწყუს რაიონის სოფელ კირცხში. დამთავრებული აქვს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალი. შემდეგ სწავლობდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის მაგისტრატურაში, უახლესი ლიტერატურის კათედრაზე. პოეტური კრებულის — „დაბადებული ემბრიონები“ ავტორია, ასევე გამოცემული აქვს მეცნიერული მონოგრაფია ოთარ ჭილაძის შემოქმედებაზე. მისი თარგმანი რ. კიპლინგის „თუ“ შესულია 12 საუკეთესო თარგმანთა შორის.

მეგრული პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელია. ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვთავაზობთ ზაალ ჯალალონიას მეგრული ლექსების ნიმუშებს.

მუთუნ ვამაფ ნაშობოცა, ვაგაძირე ინა სოთა, ლერს ლილუ რე, თოთო, თოთა, ჩქიმ მულამა ნაკილოთა. გინმოქუნცუ ჯიგან-შქერი ბორო ვარე, გამაჭკვერი. ციმინტია, ციციბელი ფირქ ქუდობცუმ ართო ქვერი. რჩქინა ჭიჭე, რჩქინა ბრელი, ოქიანე ჭერჭე, ჭყელი. დლა ნათასა, ფალუ სერი რინა იშენ ფალისერი. რაჩხა გვალამ მუკნასოფა გურ მაფ ინოგვალისერი. ჯილი-დარან, მოლილერი, ორთას ვორექ მორინელი. ჯიჯალცალო ნიმი მეულ, ყილო ვორექ მოლიმერი. ჟირგურამო ვამომრთუმუ, მარა ბჯოხო გონორთელი. თოლი მაფუ მურიცხცალო, ერზამილ დო გონოთელი. ქვერსემ ვორექ, გვალო რცამი, სუაჭარგა, სუაცამი.

დიხას თოლეფი ანკურუ, მიჯინე აკნასოფამე. გურც მებგუ სქანი შაშანი, ჩხე გითნაღელი დოფამე. ინოჭვილც ოკო მოხვარა, ბორიათ ათასიორდე. ჭვემა მოურცუ შელერდო, წყარბუმა ვარე, დიორდე. მარა ორენჯე მერქა რე, დინირუ, ქაშქელიბუ. სქან ყებურც, ჩე გოთანასგ, ჩე თუთა ეკიჩიებუ. მუსუ ვეკიმქვანქ უნელო, ნოტე თაქ შური ვაპუას. წყითე რე რინამ დლაღეფი, პის განმე გოხუჭაფუანს. „გემუნან, ჰამო მიჩქუდუ, მარა შხან-კოლა, გლახა რდუ.“ ირო რდუ, თენა ქიანას, არძა თეს მიოძახანდუ. შური მაფ ინოფუთქურელ, ინოფერნილე მერეთო. ორენჯე მაჭუ, ორენჯე, ვირვილს ვონძალუქ ქერეთო. ჭაჭვედა სერი გინორე, გინოზილათუ კირტესუ. ოთხ თუთერ პოფექ, მინისგ, პირელიშ უკულ კვირკვესუ. ეთი სერიში სქუა რე, ჩქიმ ორგადე, ჭაჭუტა. დიო მა რული ვამოკო, თოლს ვენკობდვა დო ვაპჭუტა. ანწ სი ქიმეხვად სონ ხანიშ, პოფექუ მა თაქ მახანა. თუთა ხემა მაფ აშნარდი, — თირატატია ბაღანა.

ჩე ჯა ვეგემქიტიტა, ცას მირეს - მიორე. აღნარქია ჩხილიტა დიხას დოურსილოლე. ამარ მერეს მინორე, ჩე თუთა რე კანთია. ცაშა დლასე ვენორე, სო, მის მეულე სქან თია. რინა იჭყანს ციზაფის, თირი გიმოციანასგ.

მა ეკვობუქ ჩე ძაფის, ვარ ღორონთიმ ცირასგ?..

მარყე-მარყეთ, ეკოპუნა ბორჯეფი. თოლიშ სინთე თუთას ქიმმაჭვათაფე. მოლაპირი შოშეს ლანდი მონჭაფუ, მარჩებელე დო მარაგვინჯე, მოთარე. მარცახეფი ქიგობინუ ბორიაქ, მარცქინე რე გორჩქინა დო ორთაშე. ორცხონალო ნდოლო აკომგორია, მარეხეთე ვორექია დორთაშე. ჩქიმი მარჯვალე ხოლო ოკო ქოძირე მასილარი შური აკომკორობი. ცაშე კიდირცე სერდამ ბჟათე დობზირექ, კოდმე-ტკილი კოდორელი მორიხი. მაფალაგა ცხენიშ ძუთ დოკირე ჩქიმი რინა დო სოთინე ვაკო გონწყუმა. მაქადარი ვორექ შურიშე მოთირე, მარჩაპელა ჭვემათ მიჩქუ დონუმა. მაქურსალო ვეგლავხვადა გიჩქუდას, ჭარა რექ-და ჩქიმდა მუთას ვალემე. თის ქობიორ ბირგულივთე გიმქუდას, ვედელორა, სი სოთინი გალინე. მეშვე თუთა, ოხუტოლუ გაბარეფც ოსოფინალე კინა დღვენუ არგამათ. ლილუ სქუა ხეშე გეოჭაბარეს, ამსერე თუთა გილაგორუნც ბაღანას. ისხარსახალე ოვარდე დო ოსხულე, ოსხუნური ირფელც ქუმონარტებუ. თაქ ვორექენე ვითოჟირმა დოფსხუნეს, ჩქიმი დუც იშენა მა ქიგვოდვი მარტებუ. ოტომბეშე მა ჩხომცალო გეშაბლი, ოფონც იშო კალმახეფე ცას ჯუნუნა. ამსერე თე ცას ბორია რე გერშვილი, კალმახეფი მარჩხას ვემაიჭუნუნა. მარყე-მარყეთ ეკოპუნა ბორჯეფი. თოლიშ სინთე თუთას ქიმმაჭვათაფე. მოლაპირი შოშეს ლანდი მონჭაფუ, მარჩებელე დო მარაგვინჯე, მოთარე.

თოლიშ იშო ჭიჭე სინთე, თოლიშ აშო ირთუ. ჩქიმი რცამი მიკოსორგუ, ჩეთე გინოთილი. კუმე-რუმე ეშულირი, დაჩხირ-კუმოხილი, მურიცხი გემოლირი, დინახალე ჭვილი. ფირცხე გური გეშაბლაფუ, ცაშე ოხესე გეძე, დაჩხირე ონტუ გურძემია, ვორწყექ ონონდესგ. ნაფურცელა მურიცხეფი, თოლიშ ანწაკვეცა, ცამ კორთხომე გეშაცენა, აიშა ინოხ რდესგ. ელაქართილე ნაფირქებუქ სერეფც აკარდესგ, ეხი-მოხი გინომლბუ — შურდგუმში თესგ, ეხონილი ჩქიმი ტანი აკოფართხე ამდლა, კიფიმ ბანდო ნიაპელი, სო რე მიმოსქვესგ?! მინანდვე ვორდი არძა ბორჯის, ხოლო სქანი გეშა, მინაგაფალე ქუდოიტე, არძა შარა-ხიბა. რწულე რინას ქინმორაგვეს, რწვანე ოტომბეშე, პირკალერი თუთა მიეუნცე სქუა გუნარჩქინა. მუჭო იბდინ თემ მიბძირე, ვამიძირუნ ნირშა, გინოსუნჯელე დოლო ბგორი ოყოროფუ მორდუ. ელულე დო მუკულენი ვეგემძახაფე თიშა, შურგინია ლაბახონა ონოფულეს მონდუ. ნაქანდარა ჩანარიში ტანი აკორდელე.

ხანწკი ნანა, ხანწკი სერი, არძა აკითორსუ. ხარაზელი ჩქიმი გური, კინე სქანით ჭელი, ხოლო სქანდა მინჭუაფუ, ვაგემქვანცე ნორსუ. გვალო მუჭო ინოღინუ, სისმარც ჭათე რინა, ცხად მიძახუ, მუმარჩქილე, სოთინ ვენკოდინა, თიმ მუნჭიშე ნაზგილიტა, ნაჭვათ ვორექ ვესგ, ირიათონც მუშო ოკო მერქამ გინოძინა. ხახუბია ტიოზი, სქალეფე გალაცუნა, ოთოფურეს ინირჩაფუ პეულეფიმ ჭუა. ირფელქ თაქე აკიშქუ დო კინე აკიქუა, მურიცხეფც დუკიჩუნა, სანთელერი ფსუა.

მარგალ მოგენც ამდლა, ბორკოლაფიო ქეინჯეს. მუშ ვაპალუ ანჯა, დუდიშ ვერგუ მინჯეთ. ნანამ ნინა ვაკო, წუმოკინა, ძინა. მუს მოულანც, ვა მიჩქ, ხეჭქურელო ჯინა.

თიშმა მილუჭკომეს, შხან, კოლო დო ხინა, გაჭყოლიდეს ოშო, მუმ გემუნან ნინა. მუ ლოლუას ჩეჭქექ, ბომ, ბაღანა, ცირაქ. „ვემდინა სქუა, ვანეცონა ნინა.“ — ურავად მასქერე, ის შუ ეკნაჩინა.

მუთუნ ვაულე დორხველე, მუჭო გოკო სქუა ხვამელ რდას დო ირდას, გაქთოუჭკირ ყორყელე, დიდას ცვილუნც, დიდას!

ხე მუშა ანმაფორენა, ვართ მუთუნიშა, ვორეთე. მერჩქვენელ რინას მეთხილო, უჯინეთ დლაშ დო სერიტე, ირფელი გუმამინენა სო დუმორაგვეს, ბჭყოლესგ, ხე მუშა ანმაფორენა, ვართ მუთუნიშა, ვორეთე! ოგურაფალო მიღუნა ცა, დიხა, გინომურელი, ოგურგინია ხონარი, ოდიშე ცაშა მერსხილი. ოზაზაია რინა რე, დლა თუთას გინონიმილი, შორშე მუს ძირუნქ, მუთუნც ვარ, აკა შურიშა ნიმილი. მოზგილატირე სქან ნერჩის არძა ულირი, მულირი, ოთქუალარი მუშმა რე, ვერაგადე-და დიჩუას. ოკანთაია ნაცოფი მიშო მაფ გინონილირი, ოკილოთარი მიჯინე, მი დამირჩქალენც თე ჭუას. ქომიღუნანო მუთუნი ბორჯიშე ოკინდაფალო, ართიანც გუვანარნალუთ, მუჭო ბორია ოკიფუს. დიხაშე მეულ ცაშა დო ლერსიქ ირფელი დოკიბუ. ნარღეფ მაფ გიშაგორალი, არზეფიმ ოკუმაფალო. შური რე გოხომაფილი, ფირქეფით გინისუნჯენო, ვარა ოლანჯე ბორიას ომეხო გინართინენო? დლას ვარე მუჭოთ გოკონი, ვაგკონ თემი რე, თინერო. ტორონჯიმ ჭიჭე ონაგა არნიშა ანირინენო? აქ ირფელ აკომუმაფე, დლა სო რე გოლოშქერელი, ცა დიხას ქელაბუნაფუ, გოლებირ აფუ კონკერი, ონდებელ სოთინ ვაგაფუ, ონორცხე გონომქერელე, ონასხერე რე თე რინა, ონგარალი დო ონგერე. უბორჯე ბორჯი ქორენ-და, ჩქით ვებობრჯათე დიორდე. ხეს გიკინებუ რინა დო მუნარე სერდამ გაგაბი. ძაბუნ, უანჯეთ გილულას, რინა მუმ გოკო გიოდვენ, ტყურა რე, მართალ ვარენ-და, არგამათ ოკო რაგადი!

რინოს კვარაცხელია — 80

გვარის მშენებელი და სიამაყე

(სიტყვა წარმოქმნილი რინოს კვარაცხელიას გარდაცვალებისადმი მიძღვნილ სამგლოვიარო მიტინგზე, პოეტის მშობლიურ სოფელ ნაკიფში)



დიდი მწუხარება გვეწვია, უსაზღვრო და განუზომელი. სამშობლოს წინაშე ვალდებულნი ვართ და დიდებით მოსილი ნავიდა ჩვენგან სასიქადულო მამულიშვილი და გვარიშვილი, საყოველთაოდ ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, ქვეყნის მგზნებარე პატრიოტი, ირიათო სასოროფო რინოს კვარაცხელია. მეტად მძიმე ასატანია ეს მწუხარება. ოჯახთან, უახლოეს ნათესავებთან ერთად გლოვობს მას მთელი საგვარეულო, მისი სათაყვანებელი ოდაბადე ნაკიფ-ულურია, უზომოდ დამწუხრებული საზოგადოება წალენჯიხისა. ვერა და ვერ მოიხვეწებს მისმა ბედკრულმა და საცოდავმა ვაჟკაცებმა დათომ და ვახტანგმა, სანამ გვერდში არ ამოიყენებს და ისევ გულში არ ჩაიხუტეს საყვარელი მამა, ისე, რომ სრულებითაც არ უფიქრიათ იმაზე, თუ რა ეშველებოდა შემდეგ უკვე სამივესგან გულდათუთულ ქალბატონ ლეილას, რომელსაც მთელი სიცოცხლე უნდა გაეტარებინა მათ სავანესთან და ცხარე ცრემლი ეღვარა.

უნდა ვივარაუდოთ, ბატონი რინოსი ალბათ წინასწარ გრძნობდა მოახლოებულ უბედურებას, რომ გარდაცვალებამდე მოახლოვდა მისი ახალი ნივთი პრეზენტაცია. იგი ამაყად წარსდგა მაშინ მკითხველთა წინაშე, სადაც მას ქება-დიდება და სიყვარული არ დაკლებია. როგორც ჩანს, ამ საღამომ ფაქტიურად იკისრა მისი სახელოვანი 80 წლის თავის აღნიშვნაც, მაგრამ ბატონი რინოსი მაინც დიდად გულდაწყვეტილი დარჩა იმის გამო, რომ ვეღარ დაესწრო საიუბილეო თარიღს, 24 მარტს.

ბატონი რინოსის პოეზიას არ სჭირდება გარეშე პირთა საგანგებო შეფასება, მისი ლექსები ისედაც თამამად იკაფავენ გზას მკითხველის გულისკენ და მაღალი დონით იმსახურებენ დიდ მოწონებას, მაგრამ ჩვენ, მისმა მეგობრებმა, რომ გული ვიჯვროთ მისი ქება-დიდებათ, შეიძლება გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება მისი შემოქმედების შესახებ.

ქართული პოეზიის სიმალეები თავისი სიდიადით ხიბლავენ მსოფლიოს. როცა ითქვა, რომ რინოს კვარაცხელიას პოეზია არის ქართული პოეზიის შენაკადი, ან, როგორც აღინიშნა, იგი წარმოადგენს ერის სატიკვარს შერწმულ პოეზიას, ეს უკვე უმაღლესი შეფასება და დიდი ღირსებაა მისი ავტორისა. ბატონმა რინოსმა თავისი მაღალმხატვრული და გულში ღრმად ჩამწვდომი ლექსებით, კარგა ხანია, რაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. იშვიათად მოიძებნება საქართველოში პოეტი, რომელიც საყვარელ სამშობლოსთან ერთად ისე ესიყვარულებოდა საყვარელ თავის კუთხეს, როგორც ბატონი რინოსი ეტრფის მშობლიურ წალენჯიხასა და ოდაბადე ნაკიფს. მისი მეგრულ ენაზე დაწერილი ლექსები მიჯღარკულ-მოჯღარკული ენით კი არაა შეთხზული, არამედ მშვენიერაა პოეზიისა. კარგად დააკვირდით თუ როგორ ჟღერს პოეტის სულისკვეთების გამომხატველი მეგრულ ენაზე დაწერილი ლექსი „კოჩანა“:

ეჩიდოვითი ვარჩხილმა
 ართვანი შურც გუმოჩანა,
 კოჩიში სახელი ბრეღც ჯოხო,
 ჭიჭეს უღუ კოჩანა.
 ართმანგი რენო ცა დო რობუ,
 ვარა სუფთა გური დო ჩხოჩხი,
 კოჩიში სახელც მუკოტყობუ
 მუზმა უკოჩობაში კოჩი.
 ართვანი ფერც ითირანც
 მუჟამი ფუჩხას ქოჩანა,
 კოჩანა რე ლურა დღამა
 ასქილადირი კოჩანა!

ასეთი ლექსის სიამტკბილობას, რა გასაკვირია თუ არ იგრძნობს გადამთიელი კაცი.

უნდა ითქვას, რინოსის პოეზიისათვის დამახასიათებელ ერთ ნიშან-თვისებაზეც. იშვიათია პოეტი, რომელსაც აქა-იქ არ გამოერიოს მხატვრულად სუსტი და შინაარსობრივად მდარე ლექსი, რასაც ვერ ვიტყვით რინოს კვარაცხელიაზე, რადგანაც ყოველი მათგანი თანაბარი სიძლიერით არის წარმოდგენილი, რაც მის ნიჭიერებასთან და პოეტურ ოსტატობასთან ერთად მიგვანიშნებს მკითხველის წინაშე მაღალ პასუხისმგებლობაზე, როცა სტრიქონი




პატიოსანთა მზე ანათებს,
 პატიოსანთა:
 მეფოლადეთა, კალატოზთა,
 მწყემსთა, მგოსანთა,
 პატიოსანთა მზე ბარჩხალებს,
 პატიოსანთა.
 მარად იბრწყინებს მზე ერთგულთა,
 პატიოსანთა,
 მამულიშვილთა, გულმამაცთა,
 პატიოსანთა,
 ბრძენთა, მოძღვართა,
 პატიოსანთა მზეს დიდება,
 პატიოსანთა!
 თუ დაკვირებხართ, საოცარი სიცილი-
 კისკისი იცოდა ამ ცხონებულმა, თითქოს-
 და მთელი ორგანიზმი მონანილეობდა ამ

კვარაცხელიას მიენიჭოს საპატიო გვარიშვილის წოდება.

დიდა ბატონი რინოსის დამსახურება, მშობლიური საგვარეულო, მთელი ჩვენი საზოგადოება არასდროს არ დაივიწყებს მის ღვაწლს ქვეყნისა და ერის წინაშე.

ნათელი დაადგეს სამშობლოსათვის ამ დამწვარ და ფერფლად ქცეული მამულიშვილის მუდამ ბოხოქარ და მშფოთვარე სულს.

გრამიტონ კვარაცხელია



სტრიქონს ეპაექრება და ღრმავარაუდებდა, მაღალმხატვრულად ჟღერს.

ბატონი რინოსის განუყრელმა მეგობარმა, მისი პოეზიის მოტრფიალემ თამაზ ფიფიამ გაზეთ „ილორში“ გამოქვეყნებულ თავის ღრმამაშინაარსიან წერილში „ამაგდარი პოეტის ახალი ნივთი“, მაღალი შეფასება მისცა რა რინოს კვარაცხელიას მთელ შემოქმედებას, ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი პოეზია უაღრესად აქტიურია, ცხოვრებისეულია, უკომპრომისოდ ემსახურება ქვეყნის სატიკვარს, სიღრმისეულად გამოხატავს ხალხის განწყობილებას და მუდამ სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების ეპიცენტრშია.

მიუხედავად იმისა, რომ პოეტის გულზე გადაიარა ნუთისოფლის დაუნდობელმა ქარბორბალამ, — აღნიშნავს იგი, — მან შეძლო ვაჟკაცურად გამკლავებოდა მრავალ განცდას და შემართებულად განეგრძო ეკლიანი გზა სიმართლის დასამკვიდრებლად.

მთლიანად და სიამოვნებით ვიზიარებ ამ ჭეშმარიტებას.

ეს გამორჩეული პიროვნება უაღრესად მომხიბვლელი და მისაბაძი პირადი თვისებებით ხიბლავდა და თავს აწონებდა საზოგადოებას. წესიერება, კეთილშობილება, სისადავე — თავმდაბლობა, პრინციპულობა, სინანულის გრძნობა და რაც მთავარია, ადამიანებისადმი სიყვარული და მეგობრობა ამკობდა და ამშვენებდა მას.

ბატონი რინოსის, როგორც წმინდა სულისა და მორალის ადამიანის სულისკვეთება აშკარად ჩანს მის ერთ-ერთ მცირეტაქიან ლექსში „პატიოსანთა მზე ანათებს“:

პროცესში, მას უზომოდ უყვარდა თავისი გვარი, ხარობდა მისი ღირსშესანიშნავი ადამიანებით, რაც ნათელი ზოლივით გასდევს საკმაოდ სქელტანიან ნიგნს გვარსა და გვარიშვილობაზე. გვარის გასათხოვ ქალიშვილების სამზითვოდაც განკუთვნილი ნიგნის გარეკანს ამშვენებს მისი საკმაოდ მომხიბვლელი ლექსი:

ნიგნი გვაქვს გვარის ქალწულთა,
 შემამკობელი მზითვევად,
 დაე, ამ განძის მფლობელმა
 ადიდოს გვარის ღირსება.
 კვარაცხელიას გვარი და
 უებრო გვარიშვილობა,
 ღმერთმა უბოძა ნიჭი და
 სიქველად, ხელგამლილობა.

ბატონ რინოსს, მისი ახალი ლექსების პრეზენტაციის წინა დღეებში მიენიჭა საპატიო გვარიშვილის წოდება, რაც პრესაში უნდა გამოქვეყნებულიყო დაბადებიდან 80 წლისთავზე 2014 წლის 24 მარტს, მაგრამ, ვაგლავს, რომ მისი საიუბილეო საღამო არ შედგა — რინოსი მანამდე გარდაიცვალა.

კვარაცხელიების საგვარეულო კავშირის გამგებობის 2014 წლის 25 იანვრის გადაწყვეტილებაში „რინოს კვარაცხელიასათვის საპატიო გვარიშვილის წოდების მინიჭების შესახებ“, ნათქვამია:

„საქართველოს თავისუფლებისათვის დაუცხრომლად მებრძოლ და ეროვნული ინტერესების ერთგულად დამცველ პოეტს, ჟურნალისტს და საზოგადო მოღვაწეს, პირდაპირობით და გულთადადობით გამორჩეულ პიროვნებას, მგზნებარე მამულიშვილსა და გვარიშვილს რინოს თეოფანეს ძე

პატივცემულ ლეილა, თამარ!

გვარიშვილთა თანამეგობრობა უჩვეულოდ შეძრა ძვირფასი რინოსის გარდაცვალებამ. ღრმა მწუხარებაში თანამოზიარე კვარაცხელიებმა გულთადად განიცადეს, თქვენი, როგორც უახლოესი ადამიანების, მისი დიდი ოჯახის გულდათუთულება, რასაც განულება არ უწერია. ერთი რამ გვანუგუშებს და გვიმსუბუქებს მდგომარეობას, რომ აღარ გვყავს ჩვენი მამშვენებელი რინოსი, მაგრამ საქმენი და ნამოღვაწარი მისი სამარადყვამოდ იცოცხლებს. უკვდავია ხალხის გონებაში შთამბეჭდავად დამკვიდრებული მისი პოეზია.

ნათელი დაადგეს საქართველოს ამ უერთგულესი შვილის, ბატონი რინოსის, მუდამ მღელვარე სულს.

თქვენთვის ალბათ ცნობილია, რომ საგვარეულო კავშირმა საჭიროდ მიიჩნია დაწესებინა საპატიო გვარიშვილობის მაღალი წოდება, რომელიც მიენიჭება მხოლოდ იმათ, ვისაც ერისა და გვარის წინაშე მიუღწევს განსაკუთრებული დამსახურება.


წინორედ ასეთი იყო ბატონი რინოსი, რომელმაც არა მარტო თავისი ბრწყინვალე პოეტური შედეგებით და მაღალადამიანური ღირებულებებით თავი შეაყვარა მშობლიურ გვარს, არამედ ბევრი რამ შემათა მას და ამით ფართო საზოგადოებაშიც დაიმკვიდრა სახელი და დიდება.

ბატონ რინოსს ჯერ კიდევ სიცოცხლეში, ერთ-ერთ პირველს, მიენიჭა ეს მაღალი წოდება და მხოლოდ მან იცოდა ამის შესახებ. გამოცხადება კი გათვალისწინებული იყო მისი ოთხმოცი წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე, მაგრამ მანამდე დატრიალდა ტრაგედია და საიუბილეო ზეიმი არ შედგა.

საჭიროდ მივიჩინეთ თქვენ, როგორც რინოსის უახლოეს ადამიანებს, გადმოგცეთ ამ ჯილდოს მოწმობა და სხვა მასალები, როგორც ძვირფასი რელიქვია და მისი მომავალი მუზეუმის ღირსსხსოვარი შენაძენი.

ულრმეო პატივისცემით, საგვარეულო კავშირის სახელით —

გრამიტონ კვარაცხელია.



ლევან ფანჩვიძე

წვიმის სონატა



ლევან ფანჩვიძე, ხან ნიკალასავით ხატავს ქართულ ზეცას და ხან ნინამურთან ახვედრებს გულს ათასი ჯურის ბერბიჭაშვილების ნასროლ ტყვიას; მტერთაგან ვერმოკლული მღვდელი თევდორეს ერთგულებით ურევს გზას ყიზილბაშებს, რათა გალაკტიონივით გამოაღოს ფანჯარა და სამშობლოს უერთგულეს ჯარისკაცთა სავანეში პოეზიის ქარაფებიდან გადაეშვას!

ლევან ფანჩვიძე, ანით, სისხლით და ჰოეთი ქართველი პოეტი — იგი ცოცხლობს გალაქტიკათა და მუსიკით და სატევარივით მოქნეული ქართული სიტყვით; მოთმინებით დარაჯობს უფლის სავანეს და შემდეგ ფიცხი ხევსურივით ეშვება მთიდან საქართველოსათვის დაწყებული დიდი ომის მოსაგებად!

ლევან ფანჩვიძე, ბალში აყვავებული ალუჩის დარად ეფერება თბილისს, რომ ივერიის გაბრწყინების ამბავი მთელ სამყაროს მოფინოს; იგი სავსეა თავისუფლებით, სიყვარულითა და მოთმინებით, რათა გაუძღოს უბოროტეს საუკუნეს, სადაც აბელის ძე ლამაზ ზღაპარს იგონებს, ხოლო კაენის ძე — სამსალას და ატომს!

ლევან ფანჩვიძე „შავი სისხლით“ მონამულ ქვეყანაში ცხოვრობს და უყვარს თითოეული ჩვენგანი, რადგან სიძულვილი არ შეუძლია; მას სიყვარული რჩება მინაზე და სიყვარული მიაქვს ზეცაში, სადაც მხოლოდ მაღალი ღმერთი და მეუღლესავით ერთგული მთვარე ეგულება!

ლევან ფანჩვიძე, ეძებს ქრისტესათვის სიკვდილს და ადამიანს რომ 30 ვერცხლად გაყიდულ საქართველოდან დიდგორისკენ გაიყოლოს!.. დიდება შენს მოთმინებასა და მოლოდინს, პოეტო... დიდგორისაკენ მარტო ნუ წახვალ! დიდგორისაკენ მე გამოგყვები!

ლევან ფანჩვიძე, ეძებს ქრისტესათვის სიკვდილს და ადამიანს რომ 30 ვერცხლად გაყიდულ საქართველოდან დიდგორისკენ გაიყოლოს!.. დიდება შენს მოთმინებასა და მოლოდინს, პოეტო... დიდგორისაკენ მარტო ნუ წახვალ! დიდგორისაკენ მე გამოგყვები!

ლაშა ნადარეიშვილი
პოეტი, გაზეთ „ასავალ-დასავალის“
მთავარი რედაქტორი. 2014 წლის 21 მარტი.

მოკვდებით და წყვილ სანთელს
მათხოვარიც აგვინებს
და ჩვენს გარდაცვალებას
საქართველო იტირებს!..

შენ რად არ კვდები, სიკვდილო

ამ ბერნი წუთისოფლისას,
ბრძენიც ვერაფერს გაიგებს,
რასაც ბავშვობა მოიტანს,
მოვა სიბერე, წაიღებს!
მოვა სიკვდილი, კარდაკარ
წერილებს ჩამოარიგებს,
ხავსიან ქვაზე დაწერენ
მოსვლის და წასვლის თარიღებს,
მანამდის დაგვივინწყებენ
სანამდის წვიმა გადიღებს,
ვაი მას, ვის გვამს მინა და
სულს კიდევ ზეცა არ იღებს!

2008 წ.

ქრონიკა – 2007

პირიმზე ჭკნება და აღარ მჯერა,
რომ ივრის ჭალებს მწვანე აცვია...
ქსნის ხეობისკენ აფრინდა ძერა
და ნოსტეს ლაფვარდს ზურგი აქცია.
გაუბატონდნენ კანონს მდიდრები,
მაისის დილას ნამი დაქარგავს...
და ისევ წუხან ქართლის მინდვრები
მტკვართან დაჭრილი
ხოხბის დაკარგავს...

ცა, ვარსკვლავებით დასეტყვილია,
ჩასაფრებულა მტერი შარაზე...
დღეს წინამურთან მოჰკლეს ილია,
რომ ხვალ მოეკლათ გურამ შარაძე...
ქუჩაში ისმის დედის ქვითინი,
გამონასკვულან ყულფად ბანრები...
მე დენთიანი, როგორც ფითილი,
ჩემი სამშობლოს კართან დაწვები!
მადლობა უფალს, მაინც გადავრჩი, —
კვლავ გაზაფხულით თვრება მთა-ბარი
და წყნეთის გზაზე, წმინდა ტაძარში,
ქრისტეს მრევლს ლოცავს დედა თამარი!

2007 წ.

ოდა აჭარას

ფეხშიშველა გადავივლი ხულოს ქედებს,
ზღვიდან მოსულ ნიავეს
შევხსნი ქალამანს,
გონიოსთან დაულოცავ ცას დაედემს
ჭოროხს — დედასაქართველოს
ფალავანს!
ხელგამლილი ვესტუმრები
მთიან ქედას,
დილით ზღვასთან სალამს ვეტყვი
კვიპაროსს,
ვნახავ, ცელქი წვიმის წვეთი
როგორ ბედავს,
შავი ზღვიდან ბათუმს წამოეპაროს!
მტანჯავს ხვედრი, „პეტრას ციხე“,
შენ რომ გერგო,
მიყვარს ჩაქვი, ხიხანი და კვირიკე,
სხალთას მხრიდან მომავალო,
მამედ-ბეგო,
აჭარული ზეცა შემოგვირიგე...
ფეხშიშველა გადავივლი ხულოს ქედებს,
ზღვიდან მოსულ ნიავეს შევხსნი
ქალამანს,
გონიოსთან დაულოცავ ცას და ედემს
ჭოროხს — დედასაქართველოს
ფალავანს!

იმერეთი

(გალაკტიონისებურად)

თუ გინდა რომ ისევ ნახო
თვალუჭუჭუნა მთები,
გამომყვი, ქარო, უკან
და ნუ ჩამომრჩები...
სტუმარი რომ კარს გააღებს,
მარანიც კი ფხიზლობს...
იცის ჩემმა იმერეთმა,
როგორ გიმასპინძლოს.

2012 წ.

ძველი დღიურიდან

ვიცი, კოხტა ქალის ხალი
მკერდში გააცვივებს...
ეფერება ქარიშხალი
ტყეში აკაცივებს.
ეფერება და უამბობს
ადიდებულ ლიხვს,

8

ჩემი რეკვიემი

მიტოვებული სახლის წუხილით,
ეპოქა ბინდში ხელეხს აცეცებს,
მთვარე ცის გობზე კენკავს კრუხივით,
ვარსკვლავებს, როგორც
პურის ნამცეცებს.
ატმის კვირტების გადაფითრებით,
საყვარელ ქალის გმვენის სინაზე...
და ცივი, როგორც თოვლის ფიფქები,
ჩამოდნა სევდა, სულის მინაზე.
ვიცი, როდესაც გარდავიცვლები,
კუბოზე დახრი სანატრელ თვალებს...
შენც ატირდები მერე, ვით სხვები
და სახეს ცრემლი გაგიფერმკრთალებს.
მოკვდა! იტყვიან მშვიდად გულქვები,
სული ზეცაში კენტად გარდავა...
მე კი საფლავში, სხვებს მოუყვები,
ეს მინა, როგორ მეპატარავა!

2014 წ.

წვიმის სონატა

ქუჩაში წვიმას დაებნა ხურდა
და ახმაურდა ასფალტი მუნჯი...
მე, წუხელ შენი დახატვა მსურდა,
მაგრამ ხელიდან სხლტებოდა ფუნჯი!
და იმ სევდიან სიზმრის ნახვამდე,
არ იკარებდა მოლბერტი მაჯას...
გთხოვ მაპატიო, რომ ვერ დაგხატე —
მე ახლა ლექსით ციება მტანჯავს!

2014 წ.

მე დამესიზმრა

წვიმდა და აღარ გადაიდარა,
ძლივს მიაღწია სულმა ხატამდი,
მე დამესიზმრა — ვიყავ ნიკალა
და ფუნჯით ქართულ ზეცას ვხატავდი.
როცა სიცოცხლე ასე ტკბილია,
ვინ გაიმეტა ქართლი ესოდენ?
მე დამესიზმრა — ვიყავ ილია
და წინამურთან ტყვიას მესროდნენ.
ვარ ყველა დროის თანამედროვე,
ფიქრით მივცურდი ნატურის ყურემდის,
მე დამესიზმრა — ვიყავ თევდორე
და ყიზილბაშებს თავგზას ვურევდი.
დაფიქრებული მოდის რიონი,
ცა იმერეთის მხიბლავს ტილოთი,
მესიზმრა — ვიყავ გალაკტიონი
და თვითმკვლელობას ისევ ვცდილობდი.
ვერ გამოვიცან სოფლის იგავი
ბეთლემის მხრიდან

ქრისტეს მოსვლამდი,
მე დამესიზმრა — ბერი ვიყავი
და სინას მთიდან მამულს ვლოცავდი.
რამდენი ლექსი დამრჩა უთქმელი,
მოჰქუხს არაგვად ტალღა სტრიქონთა,
მე დამესიზმრა — ვიყავ რუსთველი
და სამშობლოდან ცრემლი მიმქონდა.
იორის პირას ცეცხლი მინთია,

დღე იმზირება ატმის ჩეროდან,
მე დამესიზმრა — ვიყავ მინდია
და ჩემი სიბრძნის არვის სჯეროდა.
ვიდრე შემოვა მწუხრი ლამისა,
ჩემო ხატებავ, ჩემო ლერნამო, —
მომეცი თაფლი, მხრებზე წავისვა
და ცოტნესავით შენთვის ვენამო!

2004 წ.

მონოლოგი ტატოს ობოლ საფლავთან

შემოდგომის ფოთლები ქარმა შემომისია,
მოგონება წარსულის
საბას ცრემლით მასველებს,
ახლა საქართველოში უზნეობის ნისლია...
ახლა საქართველოში
ადგილი აქვს დასმენებს...
არასოდეს მიხილავს ზეცა, ასე მწუხარი,
ტატოს ობოლ საფლავთან
ნისლებს ვხედავ ფრთავამლილს.
არა, არ აპატიებს უზნეობას უფალი,
გზები ვინც აურია პოეტ
ბესიკ გაბაშვილს.
შემოდგომის ფოთლები ქარმა შემომისია,
მტკვარს დაუყვენენ წყვილები
ჭადრის ხეთა ბომონდის...
გულო, გეყო ამქვეყნად,
რაც იცხოვრე ნისიად,
გულო, უკვე ვალეების
გასტუმრების დრო მოდის!

2003 წ.

მსოფლიო პოეტებს

ანით, სისხლით და ჰოეთი
მე ვარ, ქართველი პოეტი!
თუ, ჰინე და რონსარი,
ბნელეთს სამოთხის სხივს ახლის,
ჰეი, რამდენს გყავთ მგოსანი
გალაკტიონის სიმალის?!
მწვერვალს წამოდო მზემ ტერფი,
ვცოცხლობ მუსიკით და სიტყვით...
თქვენ თუ გყავთ თქვენი პეტეფი,
ჩემს აკაკიზე რას იტყვით?!
აბა, რას იტყვით ვაჟაზე?..
მთას გაზაფხული უზარის.
მე ქართველი ვარ! მამ, ასე —
კარის მცველი ვარ უფალის!
ჟღერს ვით მსოფლიო მორალი,
„სტუმარ-მასპინძლის“ პათოსი...
მიყვარს ედგარ-პოს „ყორანი“,
მიყვარს „მერანი“ ტატოსი!
მაგრამ, მსოფლიო პოეტებს,
ლექსის ცეცხლი რომ დაანთეს..
ვეტყვი შექსპირს და გოეთეს,
პუშკინს, ბაირონს და დანტეს.
ანით, სისხლით და ჰოეთი,
მე ვარ, ქართველი პოეტი

და რუსთაველით შოთათი,
ალბათ გჯობივართ ცოტათი!

ფოთოლცვენა ტერენტი გრანელის ქუჩაზე

შემოდგომა მალონებს,
დილა ამსხვრევს მარნუხებს
ამქვეყნიურ სილალეს
განა მუდამ ვპოვებდი...
ოცნებებში ნაპურალს
ერთი კითხვა მანუხებს —
ნეტავ, ამ ქვეყანაზე
მაინც რისთვის მოვედი?!
— სიკვდილისთვის მოხვედი! —
ქარი კივის ვით ზარი.
— სიცოცხლისთვის მოხვედი! —
თუმცა მიხსნის ზეცა მე,
მაინც ვერ გამიგია, —
ჩემი მოსვლის მიზანი,
მაინც ვერ გამიგია, —
ამდენს რისთვის ვენამე?..
ნეტავ, საით მეძახის ყოფა უკაცრიელი,
თავი დამენანება თუ
ფიფქივით გავერები?..
მიფერადებს ბილიკებს
თიხისფერი იელი, —
მღვრიე ფანტაზიებით და
ფერადი ფანქრებით.
მეც მის გვერდით მანამეს,
ვით ყაჩაღი და მახსოვს —
ქრისტეს სისხლმა დაწინკლა
ჩემი სულის დღიური...
არის ჩემი ცხოვრება —
მონყვეტილი ყაყაჩო,
ჩემი შემოქმედება —
არა ამქვეყნიური.
ვერხვის ტოტზე ფოთლები
ქარმა არივ-დარია,
არ აკლია ამ დღესაც
სილამაზით სიცხოვლე,
ვით ოცნების არია, ზეცა ისე მკრთალია,
ზეცა ისე მკრთალია,
რომ მეც სევდით ვიცხოვრე.
ფანტელივით ფიქრდება
ფათერაკი ფირალის,
ფიქრთა ფრენამ დაფლითა
ფრთებით ფარი სევდისა...
ფრთხილად, ფრთხილად, ფოთოლო! —
ფერმკრთალდება ფინალი,
ფერად ფიფქში ფართხალებს
ფანდი ფარისეველისა.
ველარსაით გავექეც
თმბნანვიმარ ამინდებს,
მინდა, როგორც შემლილი,
ვესაუბრო ქვითკირებს.

შენი გულის საიდუმლო, მთებისკენ რომ მიაკვს. როგორ ნახა გუშინ ქსანზედ ფოთოლცვენის მარში და სიზმრები შემოდგომის მობანავე მტკვარში. გახსოვს, ტივით გვაცილებდა, თათრის ბიჭი მთვრალეს... და ღრუბელიც ვერ მალავდა, აცრემლებულ თვალებს. ჩვენი ლხენის ვერ გაეგო ტალღის ცქერით გართულს და თათრული ბიათით სულს გვიმღვრევდა ქართულს. ღრუბლის ქაფში ბანაობდა ფერადი დღე კვირის და არავინ კითხულობდა მტკვარი რატომ ტირის?!

1984 წ.

მიმწუხრის ელეგია

ეს ლაშარი, ეს გერგეთი, ეს გრემი და ეს ნეკრესი. იყო ერთ დროს სალოცავი კახთ ბატონი — ერეკლესი.

ახლა აღარც ერეკლეა არც მიმწუხრის ელეგია... თუმცე გუმბათი ალავერდის ლაჟვარდს ლურჯად შელექია! სიომ მზერა ამარიდა, ცას ღრუბელი ლაქად აზის. ფრთხილად, თორემ სამარიდან კენესა ისმის შაჰაბასის...

2012 წ.

რობაია

რომ მეგონა კარგად ვიყავ... თავი მქონდა ქუდში, ზოგს აქლემში შევეშალე, ზოგს აქლემის ქურდში... თურმე ქვეყნად შეწყნარება არ ჰქონია მართალს, წუთისოფელს ფლიდი კაცი მართავდა და მართავს!

2012 წ.

საქართველოს

ბელურასაც ჩემზე მეტად სნაყლობს ბედი, ეს ოცნება სიცოცხლეზედ მეტი არი,

ლურჯი ციდან წვიმის წვეთად წამოვედი, მომენატრა შენს ქუჩებში ხეტიალი. სარკინეთთან წინაპართა ნახმლევს ვფიცავ, მალე დილა გათენდება საოცარი. მტრებისაგან დავით მეფის ხმალი გიცავს, ბოროტისგან — შოთას „ვეფხისტყაოსანი!“

1997 წ.

ტკივილი

მთებმა ნისლი დაიხვია, წარსულს ზურგი აჩვენა, რად მოჰკვეთეს, არ იტყვიან, არსაკიძეს მარჯვენა. — არ ვიცითო, — იტყვიან და ხმა წყველად გულში გაატანს. ცრემლიანი ნატვრა გაჰყვა სამარეში პაატას. აღარ ახსოვს აპრილი ტყიანს, საიდუმლოდ ნათქვამი. სად წაიღეს, არ იტყვიან თამარ მეფის საფლავი. ნუთუ ქარებს დააბარეს, რომ არ ეთქვათ უთქმელი?.. მიპასუხეთ, რომელ მხარეს

გადახვეწეთ რუსთველი?! ნოსტეს მთებში მალალ ყორეს, სევდა გულში გაატანს. სთქვი, რა ნატვრა გააყოლე სამარეში პაატას?! ბარემ ზვავმაც დაიხუფლოს, დარდმაც ბოლო მომიღოს. გაგიმხედლით საიდუმლოს, სამართალი რომ იყოს!

1986 წ.

მინდორში სიო დარბის ფრთამალი

სანთლის ალივით ვიჩენ სიფრთხილეს, ვდარდობ დედაზე, თმაც ივერცხლებს! და წლებმაც ისე გადამიფრინეს როგორც მწვერვალებს შავმა მერცხლებმა. ნოსტეს მთებიდან, როგორც სამერცხლე, ქართლის ტყეები ჩანან გრილები... მეც წინამურთან უნდა დავეცი, რომ გავემრავლო მამულს გმირები!

2009 წ.

ლერსეფი



გრიგოლ ორბელიანი საბაბაჩიო ცოროფა

თომი სახელი საყლოთ ირი შვანს იზინუდასი, — საბაბაჩიო ცოროფა მამულში ვაგინუდასი, უსამველოთი გოქანჩილს უგურეთ უჯინუდასი, თიმ დამრსებელი სიცოცხლე მუშისუ იზოგენდასი. ტერსი ლაბაშათ ერჩიფილს მით ჰამას ვაჟინუდასი, დო კუსაფიში გერჩქილათ ვახიოლ, ვაჰამენდასი. მუ სანარტო რე დორინა ვაითუ მუშნაულასი, იალუმ შვანსა უთურიმ ულუსი ათაშქვიდასი? აუჯგუშუაფ ლურან იქ — შუროთი ვადეარსასი. თეცალ ფურბედიქ აჭარუნ ბორჯო დო ანანერობათ მისუთ ნუგეში რინამი ვასქილად ართ ენცერობათ, დო, დუდშულობამ იალონს ვემიელ გამკურჩქინდასი, — ვავა ქიანა — მუხურშენ, ძალფალო თიმ დადიასი: ყამა რჯულს მუნოხუნელი კანონეფს გუცონანდასი.

რაფიელ ერისთავი

სადაბადო ხევსურიში სოდეთ ჭვირთი ემიქოთამ, ებრჩქინდი დო ეიბრდინი, მოგულ იალუმ ფიცარეფ, თურ სასაფლავს გივარჩინი, ჩქიმ თინა რე სადაბადო, ლულვობაშე დიბრჩქვანინი. სალი კირდეს ვაგობთირა ულურუობაში ჯაშა, სადაბადოს, სამოთხეშა ქიანაში ემერ შხვამშა. მა მისხუნუ კირდე უჩა თი თირამი, თი წინამი, საარნივე, გიმენტქვილიმ

წყუ ჩქარ ბროლი, ხვეხვეჩამი, ა, ჯიხვი დო რინტუ, მობად, ხორცი ულუ ჯიმუამი. სალი კირდეს ვაგობთირა ულურუობაში ჯაშა, სადაბადოს, სამოთხეშა ქიანაში ემერ შხვამშა. თუდო ვე-რზენს გივლაყაფდე, შურ გვალაშა გეკემენტებუ, სალი კირდე ოხვით, გურსით გვალაყურე ეხუჯებუ, თექ მისხუნუ დღამ დალია, ვე-რზენს რინა ინარებუ. სალი კირდეს ვაგობთირა ულურუობაში ჯაშა, სადაბადოს, სამოთხეშა ქიანაში ემერ შხვამშა. ვე-რზენს მუჩე, დიდებევი, უთვალ მაქონებდასუნი, ხორუა დო ორქომ ოხვენჯე, ახამ ნიშეუ პუნდასუნი? ვებკორინა მა ენევი, დუდექი ვადომლურასუნი. სალი კირდეს ვაგობთირა ულურუობაში ჯაშა, სადაბადოს, სამოთხეშა ქიანაში ემერ შხვამშა. სადაბადო, ნანინამი ძუძუ, შხვამა ვაგითირე, ჟირიხლო მოგემუან, თოლფე ცალო ველეითრე, სადაბადოც იანთარუ, ქიანასი ხომ ართი რე? სალი კირდეს ვაგობთირა ულურუობაში ჯაშა, სადაბადოს, სამოთხეშა ქიანაში ემერ შხვამშა.

ვაჟა ფშაველა

დაგვიანებული პასუხი აკაკის „ჯგირ ჰოეტ, გვალას ნარჩქვანი, მარგალიტეფით ემოფშით, ბრელ ურგებელით ხომ ქობჩით, ვამობზონს წინა ნასქანი?!“ აკაკი

ფივრქე დო ვეგნმაჭყვიდირუ მუ გამა გუმვაქიანე, მუჭო დუდ ემიჭყვიდირუ? დღამ დო სერს ვაერთიანე. რაგადი გინობჭყვიდინი, ზარქ ქიგმანთხ, ქიგემიკეტუ დო გამათ მუთ ეკიბშქვინი, წინამე მომხორცქ, გაინმერტუ. დალონებაქი გუმასორ, ითამ ქუდე-კარქ ეკმართუ, მუშენ? მუ ლორონთქ გუმაჭყორ, მარგალიტეფი მაგვართუ? დო მუში წინა უშნოთი შობელშა ვალმაგონებუ? მაფშალიამი უშნოთი მი ირგ დო, მის დუნონებუ? მარგალიტეფიშ პატონი წინას ხვამულენს ლონეთი, სო დო, ვარეთო გამგონი, ეგებ გეიოგ ყორეთი, იშენით ვეგნოქიმინე, ნატყურა ჩაუთხინეთი.

თე ჩქინი სადაბადოსი ხომ ვაბცილებუქ ჩიათი, მუს ბთქუანდ ფერ უბადოსი, გურქ მელუკო ჭუათი? იშენით, ურგებელობა არგამათ ქობთქუათუნი, ხომ ქორე ჩქინი ფშავლობა, წინას მუს ეკუვავუნე?! თაქი ჩქით ვამობთურენთო, ვეპულუნო პეული, უმურჩქვან ქუჯით წონენთო, გვალაშე გიმ მუს მეგული? ოხვამერ ხატო ვაქუნსო გვალარეფს მუში მამული? გვალური წინა მოკაჟე, მი თქუანს, კირდეს ვაგნი, მარა თე, ჯილოს სინაზე ძლაბიში ვაშურდასუნი? ეშ გამო, ვაგვანახვერათ, უჯგუ, ვემებჩათ წყარსუნი. კორი მოვინე, მოგინუ, თოლს კურცხას ვუფაჭყუანქი, ა, მუნჯეფს იშ ქიმშვადინუქ, ქუს თიმნერს მურჩქილუანქი. იშენიც წინი მეგულუ, შარეფსი ვაუშქურდუქი, ართნერო მიმიპეულუ გვალა, რზენ, ნამ ნამს უჯგუქი? გურიშა ხატო გემისვანჯ გვალა დო რზენიშ წინეფი, ნამთინს ვაბზონე, გუმაანჯ, ქორედა მოგვარტომეფი. ირფელი ვამოჩქიმუნო თიმ გემუან დო წნარეფი. მა შხვა მუთუნშა მოშქურუ, ეთინა ოკო ბთქუათი, მიდგარენეფსუ მოლურეთ მიგოჩქუთ, დებთხინუათი, თინეფიშ ხეშე, ხორუა ნოხორო მუჭო ბქუათი? მუკალუაფარ თენა რე, შურს ვამობქალუნთ მითინი? ვარე ოშქურანჯ, გვალაშე ხოჯიში გიმაკაჟინი.

გურს

გური მოჩქიმე ჭიჭე ხანს, უკულ გინმართუქ დიხათი, ართო თე ბორჯიმ ჩქინი შვანს ბოშურო გილებჯიკათი. კორნებულს, მონვადინებულს, უპარამოთი მოშობულს, მივაცინც, მივაშურხათი, ოხვამალ, ოჩხონაფალო გებჭკომათ, გეშაბხუხათი. გორგნო, ქიგიდგი გურგინი, გოსქენო, ქიმკიქუნ ჩოხათი. ოყყალო თით ვამბალუნანო, გინიბრთუთინი ლეტათი, უგინარ, გორგილაფირო ვალაღეფს ინვეთიათი. ვამმარომლენა ნგარაშა, ვემალეებენა, ბირათი, საფლუში ქუას სანთელი ფუთქურეფქ მუნომლუათი? გურგინით ჭვემა გიმემუას, დო ბუთ ელემუას ხეიწათი, ნაირ პეული ეშემუას დიხაშე კილ-კილ კუჭკათი, მანგი მანგს გურით ჯუნუნდას, — ჩქი წამთინს ვაგუაშინათი?

ტიციან ტაბიძე შურმაქალარი

„აქ დავგიტოვე ლექსები მეწყრის“ ტირა მ. ძაძაძია

სიონიმ ზარი შურს დუშქირიტით, მარდმე სანთელიც ალავერდში, სუმომ ხევსურში გიმანხილიტით ნაცამ-ნათელი ანწ შურეფიში. დარდალერ შანთით ვავორწყედენი ნანათფალიშ ძუძ განოშქერებულს, მარაბდაშ ზისხირს ვამოხედენი, — ძვალს აშანკირილს დო აშატებულს. ჯვეში მირონით დუნაობოლა სვეტიცხოველი ვამინგარდასუნ, ნატყვიარ თოლი ჩხეთ გუმნაშოლა მარაამ ხატის ირო ვაფდასუნ, ვალურუდკონი ოტია სქუა თი დადიანზე მეფე ზღვეფიშის, ვალმარჩქილედას დიხაშ წნალუა, — მუშაბურგონი მონგოლეფიში. ვესმედას არავგს შურგოკამინი ნალეილა, ნაპატონ სქუაშ, წინამურს ძვალში ნაგამაშინი ზისხირით ვარდას ლასრელ ფერ ქუაშ. თე ხუმეფ მიშხუფ, მის განემინე? მიშყარანდით მუს თეშა ძვალეფს, ახალ ობირემ მის დანემინე, ცათე ჟამიში ვეურეთ ვალეფს? ვეშემიბრალოთ, — მა ქაშებტუტე, ვეშემიბრალოთ, — გინივთე ტვერო, ვეშემიბრალოთ, — თეს ევაშურტე, ადოფებული მივლერსუქ შერო... (შურმაქალარი შურობუმს შურს ბტე).

იოსებ ნონეშვილი ნუმ ხანტ

ნუმ ხანტ თი თური შურჩხონაფილედს, ვარდეფს ნარტიში ცამფერ ბალიშე, გურიშ ქუჯ ქათხი უნართ, ნარტილედს, დიდება გაში ხვალე ართიშე. თე ზმას მუს მორწონს პეულფერეფი, ფუნჯით მიმოზვეფს შურ ქიმშატენი, მუშო, თამარიშ კისერ-ღვანეფი ძვირფას ტილოშა დინისხანტენი. უჯგუ, ვალეფე შურო შურიანი, ნუმ, ეკოჯინათ მუნატკვილეფი ოგვიმარონას ლალ გოქუშინი, ვართ მოულორი თი ატამეფი. ხვალე, განგებაშ ძალა უგმურჩქინს სქვამ ნერ-ნიჩეფით გაგმობხუნენი, მეჩანს შელტებას ქალამს უმურჩინს, — თვით სქანი სახე სი გეხანტენი.


ხუტა ბერულავა

ვაი, დიაში თოლეფი

ამბეს ქუმურთუმ ქართიშა, გური ბუალამი დოჭვენო, ომურიცხეთუმე მურიცხი ჭიჭიკო გამკოლაფენო. დიას წყურგილეფქ გელუფუ, ვაყვენუ, ვამაფერენო, ცარიატაშე ტერეფი ანწ მეტი ვაგმაცოთენო. ვაი, დიაში თოლეფი, სქუაშენ ელესქირენო ჭიჭიკო ბენდელიანი ჯგურა დღას მედინაფენო.

გინმათანგალი ბეჯითი ჯალალონია ნინგინე: „საბაბაჩიო ცოროფა“ 2014 წანა.

მშრომელი კაცის გახარებასა...



შვიდი შვილის მამა გახლავთ, რამდენი შვილიშვილის ბაბუა, რამდენი შვილთამშვილის დიდი პაპა...

ოი, ნანა

ოი, ნანა, დიდოუ ნანა, სათოხნი მაქვს დიდი ყანა, ორკბილაე და სარეველავ ნეტავ, აქ ვინ მოგიყვანათ...

ნალენჯიხა

ნალენჯიხა საფიცარი, ჩემი გული და სულია, დუნიაზე საამაყო, საოცარი წარსული აქვს...

პოეზია

პოეზია ამ ჩემს სულში არ ჩაქრება, როგორც ნოთი,

ტკივილი

„ჩვენ რატომღაც ყველაფერი ცხრა გვიყვარს...“ „ცხრათვალა მზე“, „ცხრაფრთიანი ზღაპარი“...

და რა იცოდა ქართველმა, რომ ეს სიმბოლური, საყვარელი რიცხვი ოდესმე საბედისწერო გახდებოდა...

ქართველთა სათავჯანო ქალაქი — თბილისი — „ქართველის გული...“ წმინდა, ყველა თბილისელის საყვარელი ალაგი — რუსთაველის პროსპექტი...

ამ განახლების ფაშა, მამულის სიყვარულით ამალელებულმა ახალგაზრდობამ, მოთმინებას და დუმის ნაჩვენებ ხალხმა ერთხმად ამოიღდა ენა...

არ გვაპატიეს ქართველთა ქართველობა, მამულის სიყვარული და მშვიდობისმოყვარე ხალხის სურვილი სისხლში ჩაახშეს... მაგრამ ვერ ჩაჰკლეს...

მეურნე კაცი სოფლის მეურნეობითა დაკავებული. ადრე მისი ოჯახი რაიონში ერთ-ერთი მონივრე იყო მებაბრებურობის დარგში...

დიდიკო ბოხუა ვაზის „მინდია“ გახლავთ. გამოჰყავდა ვაზის ნერგები. კარმადამო ხომ სხვადასხვა ჯიშის ვაზით აქვს დაფარული...

ჭანისწყლისპირას მცხოვრებს უყვარს ბუნებაც. შრომაში დაღლილი მდინარის დუღუნს ყურს მიუგდებს...

ამალელებს, გამახარებს, მეფერებს, თან მაშფოთებს...

ელვასათი გაანათებს, გააბრწყინებს სულის არეს, — კამკამა დღედ გადააქცევს უიმედო, წყვიდად ლამეს!..

ბუნება

საკვირველი ეს ნალკოტი სიცოცხლის ხედ შევიცანი, მისი დაცვა, მოფერება იყო, არის დღეს მიზანი!

სიყვარულმა მათქმევინა

არ ვიცი როგორ მოვიქცე, ან რა სიტყვები ვიხმარო, შენს ჯიგარს ვენაცვალე მე, სადაც დგებარ თუ ზიხარო.

კმარა!

კმარა ცრემლი, რამაც მორწყა მინა, კმარა სისხლი, რაც რომ დაიღვარა, კმარა ჭირი, რაც უნახავს ქართველს...

სასაკლაოდ რომ გვიქციეს — კმარა! ეს ღვთის მიერ კურთხეული მინა სააქაოს სამოთხეა — არა? მაგრამ იგი ქართველთა საფლავად არასოდეს გადაიქცევა — არა!

ზაირა ჩხვიმიანი 4 მაისი, 1989 წელი.

ჩვენი საუნჯე სვანური ანდაზები

- 1. დაბალ ჰალაგს ლიკრე დემე ხაკუ. — დაბალ ჭიშკარს გაღებაც არ სჭირდება (ზევიდან გადააბიჯებენო). 2. თავირ პანს მიჩა თხვიმ გარ ესერ ხობა მუშველი...


- 25. ამსვალდს ლერმეთ ესერ ჩინტუნდა, ლიზევ — ლიორედედე. — ადამიანს ღმერთი დაავინყდა, ჭამა-სმა კი არაო. 26. ჟი ლას დემ ხეჰოლი, — ჟი ესერ ლხეკებს...

საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული პატრიოტები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ნოჯიხური“ №29.)

ნეტარია მისი ხსენება, ვინც მამულს შეენირა... საქართველო არ დაივიწყებს თავისი სასიქადულო შვილების ღვანღს.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. 1993 წ. 7 ივნისი



არახამია თენგიზ (ჯაყო) დაიბადა 1958 წ. 12 იანვარს, ზუგდიდში. იგი პრეზიდენტის ერთ-გული ჯარისკაცი იყო. იბრძოდა სამაჩაბლოში, იცავდა საქართველოს მთლიანობას. ებრძოდა ხუნტის ჯალათებს.

1992 წლის 25 ივლისს მუხანათურად მოკლეს ადგილობრივი „მხედრიონის“ წევრებმა.

დარჩა მეუღლე და მცირეწლოვანი შვილები.



რობერტ შოთას ძე ბენდელიანი დაიბადა 1968 წელს ზუგდიდის რაიონში. 1989 წლიდან აქტიურად ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. სამშობლო იყო მისი საფიცარი. სწორედ მისი სიყვარული არ აპატიეს. ვერ ეგუებოდა უსამართლობას. იბრძოდა სამაჩაბლოში, აფხაზეთში და კანონიერი სელისუფლების აღდგენისათვის. ბოლომდე ერთგული დარჩა საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და იმ ფიცისა, რომელიც სამაჩაბლოში დაღუპული ძმის წინაშე დადო.

დაიღუპა 1993 წელს მალთაყვასთან ხუნტის ჯარებთან შეტაკებისას.



გია შალვას ძე შედანია დაიბადა 1956 წელს ზუგდიდში. „ოქროხელა“ ბიჭი მუშაობდა რადიოშემკეთებლად.

1991 წლიდან ეროვნული გვარდიის რიგებში იბრძოდა აფხაზეთში, სამაჩაბლოში, თბილისში.

1992 წ. 11 იანვარს ტერორის მსხვერპლი გახდა უშიშარი ვაჟკაცი.

ჰყავს მეუღლე და სამი ქალიშვილი.



გია სერგოს ძე ესებუა დაიბადა 1959 წ. 27 ივლისს ზუგდიდში. 1990 წლიდან ეროვნულ გვარდიაშია. იბრძოდა სამაჩაბლოში. ეროვნული გვარდიის მაიორი, სამმართველოს იურიდიული განყოფილების უფროსი. იგი სიცოცხლის ბოლომდე პრეზიდენტის ერთგული იყო, ებრძოდა უსამართლობას. 1991 წ. 23 დეკემბერს რუსთაველზე სიცოცხლე მოუსწრაფეს.



გურამ მამიას ძე ფიფია დაიბადა 1948 წ. ზუგდიდში. იმჟამად ცხოვრობდა წალენჯიხაში. 1992 წლის 6 ივლისის ბრძოლის შემდეგ დაჭრილები გამოჰყავდათ. ხუნტის ჯალათებმა ის დაიჭირეს და ინტერნატის ეზოში წამებით ამოხადეს სული. მიუხედავად იმისა, რომ შეეხვეწა: „ნუ მომკლავთ 6 შვილის მამა ვარო...“

არ გაჭრა!



ნუგზარ ვლადიმერის ძე შანავა დაიბადა 1955 წ. 7 ნოემბერს ჯიხაშკარში. ენერგეტიკოსი, სპორტსმენი. 1989 წლიდან ეროვნული მოძრაობაში ჩაება. პირველად ლალიძგასთან დაიჭრა. ეროვნული გვარდიის რიგებში იბრძოდა სამაჩაბლოში, სადაც 18 ჭრილობა მიიღო. 1991 წ. ოქტომბერს მოსალაპარაკებლად მისული ოპოზიციამ მოკლა.

დარჩა მეუღლე, შვილები.



ვიტალი გურიას ძე მირგატია დაიბადა 1964 წ. 16 სექტემბერს ზუგდიდის რაიონის სოფ. ოირემეში.

მეზღვაური, მუშაობდა თევზჭერის გემებზე წლების განმავლობაში. 1992 წელს დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს.

8 თვე იბრძოდა აფხაზეთში. გმირულად დაეცა ტამიშთან. იგი დედისერთა იყო. მის სახელზე ზრდიან ობლად დარჩენილ მის გოგონა — ირინას.



ზაურ როგავა დაიბადა 1949 წლის 8 მარტს, ზუგდიდის რ-ნ სოფ კორცხელში. უცოლშვილო. მუშაობდა სატყეო მეურნეობაში ტყის მცველად.

დაიღუპა 1993 წლის 5 ოქტომბერს ფოთში ხუნტის ჯალათებთან შეტაკების დროს.

სამშობლო არ დაივიწყებს თავის სახელოვან შვილებს.



პაატა ედიშერის ძე ყურნუა, დაიბადა 1969 წლის 1 ნოემბერს ზუგდიდის რაიონის სოფ. ჯიხაშკარში.

სამაჩაბლოში საქართველოს მთლიანობას იცავდა. 1991 წლის 27 მარტს ოსმა ექსტრემისტებმა ტყვედ ჩაიგდეს და საშინელი წამებით ამოხადეს სული.

ოჯახის შექმნა ვეღარ მოასწრო.



ბიჭი ილიკოს ძე შენგელია დაიბადა 1947 წ. 17 თებერვალს ქ. ზუგდიდში. იბრძოდა წალენჯიხაში. მოკლულია სნაიპერის ტყვიით. ჯერ კიდევ დაჭრილის, გადარჩენა შეიძლებოდა, რომ დასახმარებლად მისულნიც ყველა არ დაეხოცათ უგულო ჯალათებს.

მარადიული ხსოვნა სამშობლოსათვის თავდადებულ გმირს.

სრულიად საქართველოს მოძრაობა „ხსოვნა“ (თავმჯდომარე მადონა მაქაცარია), საქართველოს ეროვნული გვარდიის ზუგდიდის ვეტერანთა კავშირი „ოდიში“ (თავმჯდომარე გიგლა ჭედია). რედაქცია მადლობას უხდის მათ მასალების მოწოდებისათვის.

(გაგრძელება იქნება).

6 ივლისი — წალენჯიხის ტრაგედიის 22-ე წლისთავი! წალენჯიხა საქართველოს სიმბოლო!!

ზვიად გამსახურდია

დუმილის წუთი

საქართველოს ეროვნული თავისუფლების დაცვისათვის, 1992 წლის 6 ივლისს, წალენჯიხის ბრძოლაში დაიღუპნენ კანონიერი ხელისუფლების გვარდიელები:

1. გულად პარტენის ძე ღვინჯილია (წალენჯიხა), 2. ნუგზარ რუბენის ძე ძვაბავა (წალენჯიხა), 3. პავლუშა გრიგოლის ძე გაბე-დავა (ზუგდიდი), 4. როინ ხუხუტის ძე დარსანია (ზუგდიდი), 5. ჯემალ ნაპოლეონის ძე კარტოზია (ზუგდიდი), 6. გოჩა ანზორის ძე ლომია (ზუგდიდი), 7. ვახტანგ პეტრეს ძე ქანთარია (ზუგდიდი), 8. ბიჭა ილიკოს ძე შენგელია (ზუგდიდი), 9. ონისე ვაჟას ძე შონია (ზუგდიდი).

* * *

ისინი იბრძოდნენ, რადგან ვერ იგუეს უსამართლობა, დამცირება, ბოროტების სიკეთეზე ზეობა. — იბრძოდნენ, რადგან სურდათ ეცხოვრათ ჭეშმარიტად დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში.

ისინი დაიღუპნენ, რადგან უკან დახევა არ სჩვეოდათ, ვაჟკაცები იყვნენ და სხვანაირად ვერ მოიქცეოდნენ.

უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს დაღუპულთა სულებს!



სურათზე ხსოვნის მემორიალთან დგანან, წალენჯიხის ბრძოლის მონაწილე, კანონიერი ხელისუფლების გვარდიელები: მარცხნიდან მარჯვნივ — გელა ჭილაია (ზუგდიდი), გიგლა ჭედია (ზუგდიდი), ანზორ შონია (წალენჯიხა), ვეფხვია კაკაჩია (ზუგდიდი), ოლეგ ბეშია (ზუგდიდი).

წალენჯიხა, 6 ივლისი, 2014 წ.

ბადრი მიქავას ფოტო.

6 ივლისი

ცა ნატყვიარი და დაფლეთილი...
ცრემლები... სისხლი... ტანჯვა და გვემა
მკერდში დაჭრილი მწყემსი კეთილი
და ჩაფერფლილი კოლხთ დიადემა...
წლები მიჰქრიათ, ვითარცა ქარი,
ჯიხას ჭრილობა განა მოურჩა;
მაცხოვარიდან კვლავ ისმის ზარი,
გვამებს ვერ ითვლის სოხუმის ქუჩა...
აქ სათარეშო ჰქონიათ ქურდებს,
ჩამოაბნელეს ზეციდან მნათი;
„მხედრიონელთა“ შავბნელი ბუდე,
აჩონჩხილია დღეს ინტერნატი...
ამ ტრაგედიას დასტირის ხალხი,
დრომან ტკივილი ვერ გააყურა,
ვერ მოიცილა მწუხრისა თალბი
ნაგრიგალარმა გრანელის ქუჩამ...
ლაკადის მინა მათ იავარქმნეს,
ეს „მეთაურებს“ ასე აწყობდათ,
და მაცხოვარის ტაძარიც წარყვნეს,
გადააქციეს მკვდართა საწყობად...
ცხოვრება მაინც თავის გზით მიდის,
კვლავ საბრძოლველად

შემდგარა ჯიხა;
რამდენი სისხლი დაღვარე ივლისს
გაუტეხელო შენ, წალენჯიხავ!..
ქუჩებს მავალი ეს სისხლის წყარო
ნახელავია ბოროტ ყანის, —
დაატრიალა მან ცოდვის კალო
და ალაზევა სული კანის...
მე ამიტომაც ვიხსენებ ისევ
იმ ტკივილიან, სისხლიან ივლისს,
და ტრაგედიას არ დაივიწყებს
თაობა, სანამ ამქვეყნად ივლის!..

ვალერი ძაძამია

საოჯახო ალბომიდან



სურათზე ბოჩო ჭითანავა მეუღლესთან ნათელა ჩახაიასთან ერთად. 1953 წ.



შოთა ბიგვავას მომღერალთა და მოცეკვავეთა გუნდი. სურათზე — პირველ რიგზე, მარცხნიდან პირველი გაგული (ნათელა) ჩახაია. 1950 წ.

ძველი პრესის ფურცლებიდან ვარლამენტიანი (წინასაარჩევნო ნობათი დღევანდელ არავიციებს)

* * *

ჩრდილოეთის მზის ჭაბუკი —
ამირეჯიბი ჭაბუკი,
ხიმტების დემოკრატიის
მოსიყვარულე ჭაბუკი,
ქვეყანამ იცის, რა ჩიტი,
რა იადონი, რა ბუა,
ედუარდს უზის მხარზედა,
ვით ფრთებმოჭრილი ლაბუა.

* * *

თუ ვინმეს აქვთ, გიორგი
ბარამიძეთა აქეთა,
ახალი ძალა ძველ-ძველი
აზრებით მოლაქლაქეთა,
ედუარდ აქეთ დაჯდება —
ისიც გაინვეს აქეთა
იცის გზა კომუნისტების
ნასუფრალ — საქულბაქეთა.

* * *

არ უყვარს თავის დაზოგვა,
თავი არავის ანანა,
თავზე ეყრება ედუარდს,
როგორც ციური მანანა,
ნეტა, რა სისხლი ჩაუსხეს,
ანდა უმღერეს რა ნანა,
რომ სულ კრემლის მზეს ფიცულობს
გიგინეიანთ მანანა?

* * *

კიდევაც „მოქალაქეთა“
კიდევაც — „მხედრონელი“,
პარტიულ-კრიმინალური
გონება აუნონელი,
ვარლამენტისა სპიკერი,
ვახტანგურ აზრთა მკონელი,
ისიც რუსეთის დათვისა
ჩასახუტ-ჩასაკონელი.

* * *

ენაგრძელ — ჭკუამოკლეა
დედარიანი ნანაო,
ვარლამენტისთვის ბრძენია,
ალარ ეტყობა განაო?
უხდება პუტინურ-რუსული,
შევარდნაძული ხანაო,
უყვარს თავისი პატრონის
ფეხის გულისა ფხანაო.

* * *

„ელიტის“ ზღვაში დანთქმულა,
ვით გახვეტილი გალერი,
ძე-შეცთომილმა არცხვინა
ნალენჯიხა თუ ჩქვალერი,
ტელეეკრანზე აგინა
ყველა, ვინცაა „მრგვალერი“,
დღეს კი „პირისპირ“ კეკლეუცობს
„არარცხვენი“ ვალერი.

* * *

ვისია ქალი ლამაზი,
ეს ხმა, ეს მზერა, ეს ტანი?
გონებადაბნელებული
ქალი ვისია ნესტანი?
უბანა ხელისუფლებას
სისხლისა ლაქა-ნესტანი,
მერე დაჯდა და უქსოვა
ნითელი ნულა-მესტანი.

* * *

სიფათზე კომუნისტური
ელფერის მოიცხო ინი,
არც მინაზე დგას მყარად და
არც ცაში იცის ბოინი,
მისი „სიბრძნისა“ მოსმენა
სეირია და ოინი,

ქვეყნის შენებას გვირდება
სანყალობელი როინი.

* * *

ეგ ჯოხიანი გიგაი
თვით ედუარდის ჯოხია,
იცოცხლე, ვარლამენტშიაც
მრავალი გაუჯოხია,
სხვა რაში გამოადგება —
ჯოხია, განა თოხია?
მარდია მაშინ ხელკეტი,
როდესაც ტვინი ლოხია.

* * *

ვაგლახ, რომ მამულიამან
მამულში ვერ იგურამა,
კაცს, ისტორიკოსს, დაუტკობ
ყური რუსულმა „ურამა“,
თანახმა არის ქვეყანა
ჭამოს იმ დათვმა მურამა,
თუ რამე დარჩა სახრავი,
ხრას შინაურმა ტურამა.

* * *

ზის ცერზე შევარდნადისა
მიმინოსავით რომანი,
დაჰფასებია კალმოსანს
გესლიან კალმით შრომანი,
ისიც „ელიტის“ ძე არის,
აქვს პუტინისტებთან რომანი,
კარგადაც უნყის ხვერლებში
შეძრომა — გამოდრომანი.

* * *

იცავდა „დემოკრატიას“,
გვერდით ჰყვა „ბეტვერია“,
ეჰ, ადამიანს პუტინისტთა
იმ მარაქაში ერია,
ამბიცეობით სწული
თავის თავისა მტერია,
ხმა ველარ ამოულია,
ედიკას ფეხთა მტვერია.

* * *

როგორი ყნოსვა ჰქონია
ასათიანსა კაკოსა,
ლიქნობის ტრადიციებსაც
რარგ ფლობს, საარაკოსა!
დარბის აქეთ და იქითა,
მოჰგავს მაქანკალ მაკოსა,
კვლავ იმედი აქვს, რომ ახალ
სავარძელს დაეტაკოსა.

* * *

რუსუდან ვიცე-სპიკერსა
არ გაუცუდდა ცდანია,
ვითომდა ეროვნულია,
პიროვნულ — რუსუდანია,
სულ დათაფლულად საუბრობს,
ამოსდის პირიდან ია,
მაგრამ გამყარალა მაგაზეც
გუდანია თუ გლდანია.

* * *

დღეს ცუდი ჟამი დაუდგა
„მხედრონელთა“ ბაბასა,
თუმც საკმარისად ეყოფა,
ქვეყნად რაც იშაპაბასა,
დაადგო ჯაჭვის პერანგი,
იცმევს უწყინარ კაბასა,
კვლავ შევარდნაძე მოუვლის
თავის მეგობარ ჯაბასა.

* * *

ახლა იქ შეყუდებულა,
სადაც არს ვირის „ბანია“,
თბილისის დამანგრეველი
თენგიზა კიტოვანია,

ჯორმა, მისივე ნაჭედმა,
ნიხლით ნაართვა ჯანია,
რა შხამიც თვითონ დათესა,
იმ შხამის დღეს მომყვანია.

* * *

ან ბრძოლის თავი არა აქვს,
ბრძოლაში შეუძლოდ არი,
დეკემბერ-იანვრის მერე
დაუდგა უმზეო დარი,
სინამდვილეში კარგ ყოფას
ელოდა თურმე ნოდარი,
გზა აბნევიდა, ბევრი აქვს
სანანი და საგოდარი.

* * *

ისნავლა, ორგულობითა
სად, როდის, რა იცუდოსა,
მოსონს ლალატის ქარტია
პაატაშვილსა თედოსა,
გზას კრემლში, შევარდნაძესთან,
ექებდა საიმედოსა,
ახლა მოუნდა, რომ თავი
ნათაძის მკერდზე ედოსა.

* * *

დემოკრატია ირინა
და თანაც ეროვნულია,
ეროვნულ-დემოკრატიობა
სინამდვილეში ნულია!
„დემოკრატიულ“ ტყვიათა
ზუზუნში გასუსულია,
იმ ჭირით, სხვისთვის რომ სურდა,
დღეს თვითონ არის კრულია.

* * *

გვახსოვს სიგუა — თვლთაგან
რისხვის გიჟურად მკვესავი,
გმირი პუტინისტი, ღვარძლის და
შურის უებრო მთესავი,
დღეს მოკაკულა სანყლულად,
არა აქვს გზა საესავი,
მორიელივით ჩუმად ზის,
შხამით კბილების მღესავი.

* * *

თუმცა თვეობით შიმშილობს,
ტანად მაინც სულ მრთელია,
ქარი საითაც უბერავს,
გზაც ისე გადუთელია,
ნაწილ-ნაწილად დაშლილსა,
ჰგონია, ერთი მთელია,
ვითომ ეშმაკი მელია —
ირაკლი წერეთელია.

* * *

ყველა ამათი მოძღვარი
უებრო ედუარდია,
ოღონდ ტახტი არ შეერყას,
და სხვა არა აქვს დარდია,
ჰყავს ვარლამენტი — მორჩილი
და ყურმოჭრილი გვარდია,
ვინაც ქვეყანა დალუპა,
ხოლო ხვეჭაში მარდია.

* * *

ძალაუფლება ხელთ იგდეს
სისხლისღვრითა და ძალითა,
და თავი დაიკანონეს
რუსული ქვემეხ-ხმალითა,
სამშობლოს ცოდვით საესენი
ვერც იხარებენ ხვალითა,
მათი მზეც ჩაესვენება
მძლეთამძლე სამართალითა.

შ. რუსთავაძელი
1995 წ.

ახალგაზრდა შემოქმედთა სივრცეები

ზვიად გამსახურდიას

ამ დღეს ადულდა ქართული სისხლი,
ამ დღემ შებოჭა ბოლმა და ზიზლი,
მხიარულობდა კოლხური კოშკი,
მცხეთა, იყალთო, სხალთა და ოშკი...
ამ დღეს მოისხა ფოთოლი ვაზმა,
ქართველმაც ერთი გადადო ვაზნა,
ამ დღეს დარეკა სულ ყველა ზარმა,
ამაყად იდგა სიონი, ზარზმა...
ამ დღეს, ამ ცოდვილ მინაზე იშვა,
სულით ქართველი და ერის ბურჯი,
კაცის მოყვარე, ცუდის არმცოდნე,
იბერიელი, ნამდვილი „გურჯი!“
ილიას მკვლელის გამზრდელ მინაზე,
სხვა ბევრი მკვლელებიც გაზარდმა ქართლმა,
დაბადებიდან... ღვთის უკითხავად
რჩეულთა ბედი განსაზღვრა ხალხმა...
სწორედ ასეთი რჩეული გმირი
და საქართველო მოკლა... ქართველმა;
მერმისად ვინყეთ ერთურთის ხოცვა,
შლეთა და ფეხით სულის გათეღვა...
გავიდა წელთა დასტა და რიგი,
გულს ვერ შორდება დარდების შარი,
მას შემდეგ ვცდილობთ, რომ გავათეთროთ
ჩვენ ისტორიის ფურცლები შავი...
მას შემდეგ ქართველს ბევრი გარდახდა,
უხილავი და თუნდაც ხილვადი,
მაგრამ ამ ერთ დღეს ქრება წყვილადი,
როს დაიბადა გმირი ზვიადი!..

მინას მივაბარეთ სულით ქართველი და...

კუბოს შევეუდექით მოშხამულ ფიქრებით და
სხეული წამებული მინას მივაბარეთ,
ცხედარს გარს ვეველებით ცრემლიან თვალებით და
დარდით დაცხრილულნი ძლივსლა მივბარებაცებთ...
კუბოს შევეუდექით, მინას მივაბარეთ,
სული ქართული და გული ლაკადური,
მაინც არ დამშრალა, ისეე მოჩუჩუხუხებს
ლექსის, პოემების, სიბრძნის ნაკადული...
თითქოს ამ საფლავეზე მინაც მსუბუქია,
მთებმაც მოწინებთ ქედი მოიდრიკა,
წამნი გაყურდნენ და ცრემლით განიბანენ,
წუთიც სიჩუმით და დარდით დაიბინდა...
კაცი საოცარი მინას მივაბარეთ,
ცრემლით ნაშობი და ტანჯვაგამოვლილი,
დიდი პოეტი და დიდი, ბუმბერაზი,
მაგრამ ტკივილიან წლებით დათოვლილი...
მინას მივაბარეთ რიტმის მესაჭე და
ფიქრმა ჩაიხუტა დარდის აკლდამები,
მინას მივაბარეთ სულით ქართველი და
მინას მივაბარეთ გულით ლაკადელი.
მაგრამ უდავოა კვალი ნარუშლელი,
სულელებს რითმებად კვლავაც დაანვება,
ლამის ფიქრები და მუხებთან ჭიდილები,
ქათქათა ფურცლებზე რომ ლექსებად ააღებდა.

საბა შანავა,
თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის
IV კურსის სტუდენტი.

მეორედ მოსვლა



მარცხნიდან მარჯვნივ: სულგაყიდული გენერალი თენგიზ ეპიტაშვილი,
ედუარდ უხსენებელი, „რამკიანი ქურდი“ ჯაბა იოსელიანი.
თბილისის აეროპორტი. 1992 წლის შავი 7 მარტი.

ნოჯიხური

რედაქტორი — ვალერი კაკამია
„ნოჯიხურის“ მისამართი:
ნალენჯიხა — ობუჯი. ლეო ქიაჩელის №37.
ტელ: 591 91-32-89; 790 87 83 94
გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან
ანყობა და დაკაბადონება — თია მიშვილია
ტელ: 555 49-22-07